# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№146 (9977) 2025 წლის 31 ოქტომბერი, პარასკევი


# ოი, თქვე ცოდვის შვილებო, გაუმაძღარნო ფულითა!



## დაკავებულია ინფრასტრუქტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე კობა გაბუნია, ყოფილი მინისტრის ირაკლი ქარსელაძის სახლში კი ჩხრეკა ჩატარდა!..

**სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე ინფრასტრუქტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე კობა გაბუნია დააკავეს, ყოფილი მინისტრის ირაკლი ქარსელაძის სახლში კი ჩხრეკა ჩატარდა,** – ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამართულ ბრიფინგზე საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე **ია ახალაიამ** გუშინ განაცხადა.

**„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სუს-ის თანამშრომლებთან ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე კობა გაბუნია დააკავეს, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის კურატორი გახლდათ“.**

მისივე ინფორმაციით, კომპლექსური ღონისძიებების ფარგლებში, პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკები ჩატარდა დაკავებულ კობა გაბუნიასთან, ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან და სხვა პირებთან, სულ 20 სხვადასხვა ობიექტზე.

**„როგორც უკვე ცნობილია, დაკავებულები იყვნენ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი დავით ტაბიძე, ფონდის პროგრამის მენეჯერი და ამავე სამსახურის პროექტის მენეჯერი, რომლებმაც სრულად ითანამშრომლეს გამოძიებასთან და მათ აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლოს მიერ გირაო შეეფარდათ.**

**საზოგადოებისთვის ასევე ცნობილია, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, 30 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 9 365 801 ლარის თაღლითურად დაუფლებისა და 1 211 000 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავებულები არიან შპს „ლაგი კაპიტალის“ ხელმძღვანელი პირები.**

**გამოძიების მასალების მიხედვით, შპს „ლაგი კაპიტალის“ მიერ 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის მაისამდე პერიოდში, ფონდში წარდგენილი ავანსის მოთხოვნები იყო დაუსაბუთებელი და მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფილი. დასახელებულმა პირებმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ყოფილი მოადგილის კობა გაბუნიას დავალებით სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს და უპირატესობის მინიჭების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ 2023 წლის ივლისის თვეში მიღებული ავანსი არ იყო დახარჯული მიზნობრივად, 2023-2024 წლებში შპს „ლაგი კაპიტალზე“ საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის მაინც გასცეს 11 218 380 ლარის დაუსაბუთებელი ავანსი, საიდანაც შპს „ლაგი კაპიტალის“ ხელმძღვანელი პირები თაღლითურად დაეუფლნენ 9 365 801 ლარს.**

**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით ითვალისწინებს.**

**აღნიშნულ და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად ვაგრძელებთ ინტენსიურ ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებებს რათა უზრუნველყოფილი იქნას კორუფციულ დანაშაულებში მონაწილე პირთა მხილება, პასუხისგებაში მიცემა და კორუფციული ფაქტების მაქსიმალური პრევენცია“,** – განაცხადა **ია ახალაიამ.**



## ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ირაკლი კობახიძე ჩინეთის იმპორტის საერთაშორისო გამოფენის გახსნის ცერემონიაზე მიიწვია

**ჩინეთის მთავრობის სახელით, გულწრფელად გეპატიჟებით რიგით მერვე საერთაშორისო გამოფენის გახსნის ცერემონიაზე და მჯერა, რომ ეს მნიშვნელოვნად გააღრმავებს და არსებითად გაამდიდრებს ორმხრივ თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში,** – ამის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ლი ციანი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს.

**გამოფენა 5 ნოემბერს შანხაიში გაიმართება.**

## ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე): განათლების რეფორმის ორკეცი შინაარსი

6



## ალეკო ასლანიშვილი: ნაპრეზიდენტალის ნაშობ-ძუძუნაწოვს „თავისუფლების მოედანი“ ეპოტინება




იხ. 3 გვ.

## ოთარ კერვალიშვილი: ოცნებას კაცი არ მოუკლავს



იხ. 7 გვ.

ვისაც რაჭა გიყვართ, გამოგვეხმაურეთ!

# თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ კვლავ ზურაბ აბაშიძე აირჩიეს


ზურაბ აბაშიძე

**თბილისის საკრებულოში გუშინ მერვე მოწვევის პირველი სხდომა გაიმართა.**

საკრებულოს კვლავ **ზურაბ აბაშიძე** უხელმძღვანელებს. ზურაბ აბაშიძე საკრებულოს თავმჯდომარედ 45 ხმით სამის წინააღმდეგ აირჩიეს.

თავმჯდომარის მოადგილეებად **ბექა დავითულიანი, თინათინ ნიბლოშვილი** და **ლევან ჯაფარიძე** აირჩიეს.

წინა, მეშვიდე მოწვევის საკრებულოსაც ზურაბ აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

საკრებულოს პირველ სხდომას ოპოზიციის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კერძოდ, „გირჩის“ ორი წევრი – **გიორგი გვენეტაძე** და **დავით ფანჯიკიძე,** „ძლიერი საქართველო – ლელოს“ ორი წევრი – **ვახტანგ სურგულაძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი** და „კონსერვატორები საქართველოსთვის“ ერთი წევრი – **გიორგი ქარდავა.**


ბ. დავითულიანი


თ. ნიბლოშვილი


ლ. ჯაფარიძე

# ზურაბ აბაშიძე: დიდი პასუხისმგებლობაა, იყო თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და ორმაგი პასუხისმგებლობაა, იყო თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

**თბილისის საკრებულოს ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ ზურაბ აბაშიძემ მერვე მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, პირველ რიგში, თბილისელებს, შემდგომ კი კოლეგებს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.**

ზურაბ აბაშიძე მადლობას უხდის საქართველოს პრემიერ-მინისტრს, დედაქალაქის მერს, პარტია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას. მისი თქმით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო თავდაუზოგავად იმუშავებს იმ დაპირებებისა და პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც დედაქალაქის მოსახლეობისა და თბილისისთვის სასიკეთო იქნება.

ამასთან, ზურაბ აბაშიძემ ოპოზიციას წარმატებული მუშაობა უსურვა. ზურაბ აბაშიძის თქმით, იმედოვნებს, რომ მათი თანამშრომლობა კონსტრუქციული იქნება.

**„მინდა, მივესალმო ოპოზიციის წარმომადგენლებს საკრებულოში და ვუსურვო წარმატებები. მინდა, მჯეროდეს, რომ კონსტრუქციულ რეჟიმში გავაგრძელებთ მუშაობას. ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ჩვენი კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის. სამწუხაროდ, წინა გამოცდილება არ იყო ასეთი. წინა მოწვევის ოპოზიციის წარმომადგენლებმა მთელი დრო ბოიკოტის რეჟიმში გაატარეს. შესაბამისად, შედეგიც სახეზეა. ჩვენ ახალი მოწვევის საკრებულოში 45 წევრით ვართ წარმოდგენილი, ოპოზიცია კი – მხოლოდ ხუთით“,** – განაცხადა **ზურაბ აბაშიძემ.**



# დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში 11 კომისიაა

## საკრებულოს სხდომაზე კომისიების თავმჯდომარეების თანამდებობაზე შემდეგი წევრები დაამტკიცეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე – **ნინო ვარდოსანიძე;**

ქონების მართვისა და საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – **ლევან არველაძე;**

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – **ბექა მიქაუტაძე;**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე – **ბექა ოდიშარია;**

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე – **კონსტანტინე ზარნაძე;**

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე – **ავთანდილ ცინცაძე;**

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე – **ლევან აბაშიძე;**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე – **შალვა სუთიაშვილი;**

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე – **ნიკოლოზ კახეთელიძე;**

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე – **კახაბერ ლაბუჩიძე;**

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – **შალვა ოგბაიძე;**

საკრებულოს სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე – **გიორგი ხვედელიძე** დაამტკიცეს.

# საკრებულოს პირველ სხდომაზე ორი ფრაქცია დარეგისტრირდა

თბილისის საკრებულოში დარეგისტრირდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", რომელსაც საკრებულოს **ზურაბ ჩიკვილაძე უხელმძღვანელებს.** ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები იქნებიან **გივი ჩხარტიშვილი, გიორგი დოხტურიშვილი, დავით ჭელიძე, კახა ბერაძე, დავით ხაზეიშვილი და ალექსანდრე მუკათარიძე.** საკრებულოს სხდომაზე დარეგისტრირდა ასევე ფრაქცია „ხალხის ძალა", რომელსაც საკრებულოს წევრი **ზაქარია წიკლაური** უხელმძღვანელებს. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე **ოთარ ჩრდილელი** იქნება.

საკრებულოს წევრებმა ორივე ფრაქციის შექმნას მხარი დაუჭირეს.

# გერმანიის მთავრობა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების მოცულობას ასაჯაროებს!..



**გერმანიის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა პასუხები პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ კითხვებზე, რომლებიც საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას და ამ პროცესში გერმანიის საელჩოს, აგრეთვე, გერმანიის ელჩის პეტერ ფიშერის მონაწილეობას შეეხებოდა.**

**ოფიციალურ ინფორმაციაში გერმანიის მთავრობა ასაჯაროებს თანხებს, რომლებიც მხარდამჭერი პროექტების ფარგლებში საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოიყო. კერძოდ: 2020 წელი – 360,164 ევრო; 2021 წელი – 401,368 ევრო; 2022 წელი – 297,899 ევრო; 2023 წელი – 517,937 ევრო; 2024 წელი – 831,914 ევრო; 2025 წელი – 150,580 ევრო.**

ამასთან, ინფორმაციაში არ გვხვდება თანხის მიმღებ არასამთავრობოთა ჩამონათვალი.

**„ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორი ორგანიზაციების საჯაროდ დასახელება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ მზარდი რეპრესიული კლიმატის ფონზე რისკს უქმნის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას და ორგანიზაციებში მომუშავე პირებს. დაფინანსება ემყარება ნდობას, რომელიც მოიცავს სენსიტიური მონაცემების კონფიდენციალურად დამუშავებას. ნდობა თანამშრომლობის ფუნდამენტური წინაპირობაა და წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი პროექტების განხორციელება დაზარალდებოდა“,** – აღნიშნულია გერმანიის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ამასთან, ამავე ინფორმაციაში ნათქვამია, რომ **„პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლებელია საქართველოში პარტნიორ ორგანიზაციებში მომუშავე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის პოტენციური საფრთხის გამო“.**



ამასთან, გერმანიის მთავრობის ინფორმაციით, 2020-დან 2025 წლის პერიოდში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მეშვეობით საქართველოში არანაირი მედია არ დაფინანსებულა.

**საქართველოში არასამთავრობოთა დაფინანსებისა და ამ პროცესში გერმანიის საელჩოს, ელჩ პეტერ ფიშერის მონაწილეობის შესახებ გერმანიის მთავრობას კითხვები მიმართა პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“. ამასთან, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პეტერ ფიშერი კონსულტაციებისთვის გაიწვია. როგორც გერმანიის საგარეო უწყებაში განაცხადეს, უნდა განისაზღვროს, როგორ გაგრძელდება მუშაობა.**

საქართველოს რესპუბლიკა

## დღეები ჩვენი მღელვარებისა

**ჩვენი ხელისუფლება თავს რომ იქლავს, ქვეყანაში ლგბტ-ს არ გავაჭაჭანებთო, ის კი არა, საზღვართანაც არ მოვუშვებთო, სულ ამაოდ ირჯება. ეგ ლგბტ ჩვენში უკვე გაჭაჭანებული გახლავთ და ეგ არი, თანაც, ადგილობრივი სახით!**

**პროევროპელების „მარსელიოზა“ ხომ გახსოვთ:**

**ოლეე, ოლაა, მწოველებო,**
**ნაბოზვრებო,**
**თქვენი დედის ტყ...ნის დროა!**
**ოლეე, ოლაა, ქოცების**
**დედ ის ტყ...ნა!“**

**აქ საქმე ტექსტის სილაღესა და ენამჭევრობაში როდია, არც ნათელ მიზანდასახულებაში. მთავარი ის გახლავთ, თუ რა აღტაცებით, აღტყინებით, რა დაგემოვნებით მღერის მას „ერი“. მღერიან ყელმოღერებული, ცხვირში რგოლგაყრილი ქალწულნი, დარბაისელი დედანი და ჭაღარა მანდილოსნები, ანუ უწლოვანნიც, წლოვანნიც და გადაწლოვანებულნიც. ამ „ერის“ მამაკაცურ ნაწილს ნურც იკითხავთ, თავისთავადაც იგულისხმებიან ბიჭუკელები, კაცები და ბერიკაცები.. მღერიან ხმაშეწყობილნი, თვალებაციმციმებულნი, მიზანნაპოვნი...**




# ნაპრეზიდენტალის ნაშობ-ძუძუნაწოვს „თავისუფლების მოედანი“ ეპოტინება

**მწერალი გრიგოლ რობაქიძე წერს, ქართველ ქალს რა ადგილზეც შეხედავ, სხეულის ის ნაწილი გაუწითლდებაო. ლამაზად კია ნათქვამი, ბატონო გრიგოლ, მაგრამ მას შემდეგ, ჰა და ჰა, საუკუნე თუ გავიდა და ახლა, ამ სიმღერის მომსმენი და მხილველი, ალბათ, თავზარდაცემული ხელახლა გაიჭრებოდი ემიგრაციაში...**

დავაყურადოთ საღამოსპირს რუსთაველის პროსპექტს... თვითონ ვნახე და თქვენც ნახავდით, როგორ ბობოქრობდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პოლიციელმა გაოცებულმა ჰკითხა, ვინ ხარ ადამიანოო. „ქალი ვარ, შე ჩემა!“ – დაუღრიალა (სწორედ რომ დაუღრიალა) მან. ამ ქალს შეხედო კი არა, მათრახიც რომ გადაუჭირო, არა ადგილზე ფერი არ შეეცვლება...

ასევე ვნახეთ, 22 ოქტომბერს როგორ აიჭრა საპატრულო პოლიციის მანქანაზე ვინმე თამარ ლორთქიფანიძე, არა უმწიფარი ასული, არამედ 50 წელს მიღწეული ქალი და როკვა დაიწყო. როგორც იქნა, იქიდან რომ ჩამოდენეს, ასფალტზე გააგრძელა. მერე იქვე მდგომი ტაქსის კარი გამოგლიჯა და მძღოლს ცემა დაუწყო. ძლივს მოაცილეს. რა იყო ეს – პროტესტი? არა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ხულიგნობა და ძალადობა! სწორედ ამ ბრალდებით დააკავა იგი პოლიციამ...

* * *

**ქალებზე გაგვიგრძელდა სიტყვა, ვინმე შორს მყოფი იფიქრებს, მხოლოდ ერის უმშვენიერესი ნაწილი ირჯება ასე უკეთურად რუსთაველზეო. რა თქმა უნდა, კაცებს მიჰყავთ სტოსი, ქალები კი თავიანთი ექსცენტრულობით კიდევ უფრო აფერადებენ ამ უკეთურ პეიზაჟს...**

მე არ ვიცი, მღერის თუ არა ჭაბუკი ჰოპსტოპ-პოლიტიკოსი და წარმოშობით ნაციონალ-ბოკუჩაველი ლევან სანიკიძე „ოლე-ოლას“, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ უამრავ თანაპარტიელს და სხვაპარტიელს გადაასწრო ლანძღვა-გინების პოტენციალით, იმდენად, რომ აღფრთოვანებულმა სამიზნეებმა ლექსიც კი უძღვნეს:

**„შვილმა აჯობა მამასა,**
**უმატა მძღ..რის ჭამასა...“**

ვფიქრობ, ეს საუკეთესო ჯილდოა ამ ენაგატლეკილი ახალგაზრდა კაცისთვის.

რამდენი ასეთი ტალანტია ჩვენს გარშემო, რამდენი ასეთი მოღვაწე ფუთფუთებს ქუჩის ოპოზიციაში!

ოღონდ, არც იმის უთქმელობა ეგების, რომ ამ ფერადოვან პროტესტანტებში გულმხურვალე, თავის სიმართლეში დაჯერებული ახალგაზრდობაც მრავლად არის. ვფიქრობ, ხელისუფლებას მოუწევს მათთან საერთო ენის გამონახვა, რათა მათგან საბოლოოდ მტრები არ გამოძერწონ და რუსთაველიც გაათავისუფლონ არა ძალადობით, არამედ შეგონებით. გვჯერა, ეს შესაძლებელია და სწორედ ასე წარიმართება კიდეც პროცესები.

ჯერჯერობით კი რუსთაველი პოლიტიკური ორთაბრძოლის ასპარეზია, ოღონდ, სწორედაც, ცოტა არ იყოს, ქუჩური ვარიანტით, სადაც ეს პოლიტიკოსები ერთმანეთს „დედის ფუღუროს“ ახურავენ (ესეც ფოლკლორის ახალი შენამატი!).

შექმნილი ვითარება, რომელსაც არამც და არამც არ ელოდა ხალხი 4 ოქტომბრის რევოლუციის პირწმინდად ჩაშლის შემდეგ, პირდაპირ აცოცხლებს იმ რევოლუციის ერთ-ერთ ადეპტს – სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც სოსო მანჯავიძემ მორგებულად უწოდა „მოხეტიალე ლეგიტიმაცია“, უთუოდ იმის წარმოსაჩენად, თუ რა მოლოდინით ელოდა ეს ქალბატონი 4 ოქტომბერს პრეზიდენტის სასახლის აღებას, რათა უმალ შებუდებულიყო იქ და „პრეზიდენტის ლეგიტიმაცია“ განემტკიცებინა.

და, აი, ეს „სამიდღემჩიო“ პრეზიდენტი სპეციალურ ბრიფინგზე უცხოეთს აცნობებს, რომ „რეჟიმი მიზანს ვერ აღწევს და მისი დასრულების ჟამი იწყება. მან ვერ გაარღვია საერთაშორისო იზოლაცია, ვერ ჩაახშო პროტესტი და ვერ მართავს ქვეყანას. საჭიროა გამძლეობა, კიდევ უფრო მეტი სოლიდარობა. პროტესტი არ ქრება, სოლიდარობა არ ქრება!“

ქვეყნისთვის ამ სასიკვდილო განაჩენის მოსმენის შემდეგ მახსენდება 2005 წელს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან დაქნევისას რა ზანზარით გაიჯახუნა კარი სალომემ. მან ქართულ პოლიტიკურ მორევში მაშინ ახალი სიტყვა-განსაზღვრება გადმოაგდო – „ქაჯი“, „ქაჯობა“, თავის დაუძინებელ მტრებს, პარლამენტარებს „ქაჯებად“ მოიხსენიებდა.

სპარსულიდან შემოსულ ამ სიტყვას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ორგვარი ახსნა აქვს: **პირდაპირი – „ავი სული“, „ეშმაკი“ და გადატანითი – „თავზე ხელაღებული, დამთხვეული ადამიანი“.**

**„ქაჯს“ კიდევ ერთი, ამჯერად ჟარგონული ახსნაც აქვს – „გოიმი“.**

**„გოიმი“** ებრაული სიტყვაა და არაებრაელზე, სხვა რჯულისაზე, უფრო ქრისტიანზე იტყვიან, მაგრამ გოიმი თანამედროვე გაგებით პროვინციელ, ჩამორჩენილ, ადვილად გასაცურებელ ადამიანზე ითქმება. თორემ ვინ მოთვლის, რამდენი ბრწყინვალე ინტელიგენტი ცხოვრობს პროვინციაში და რამდენი ქაჯი და გოიმია თბილისში დაბადებულ-გაზრდილი, რამდენი უცხოური ენებისა და კომპიუტერის ჩინებული მცოდნე დაიარება რუსთაველზე. კაცმა რომ თქვას, ეს ელისეს მინდვრებში სიარულით ქუსლებმოცვეთილი მეხუთე პრეზიდენტიც კაი გვარიანი ქაჯი და გოიმია თავისი გულღრძოობით, სიავითა და ბოროტებით.

ზემოთ ვთქვი, როგორ შემოაგდო სიტყვა „ქაჯი“ და „ქაჯობა“ საგარეო საქმეთა მინისტრობიდან წასვლისას პარლამენტართა უკიდურესი სიძულვილის ნიშნად. 20 წლის შემდეგაც, პრეზიდენტობის ჩამთავრებისასაც არ უღალატა ტრადიციას: „მივდივარ და ლეგიტიმაციაც თან მიმაქვსო“. ვითომ ერთადერთი მე ვარ ლეგიტიმური თანამდებობის პირი საქართველოში, როგორ შეიძლება ჩემი წასვლაო. არადა, თანამდებობის ვადა უკანასკნელ საათამდე ამოწურული ჰქონდა, მაგრამ ვერა და ვერ ელეოდა. ის კი არა, დღესაც თავი საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი ჰგონია.

**არადა, საქართველოს დაუღალავი დამსმენი, ყველა უბედურების შემთხზველი და ხელმოცარული პოლიტიკური „ლიდერია“. ეს მის სინდისზეა, მისი მოგონილია, მისი ნაშობ-ძუძუნაწოვია „გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები“, „არალეგიტიმური ხელისუფლება“... დიახ, პირველმა მან თქვა, არჩევნები გაყალბდაო, ისე რომ ერთი გრამი დამამტკიცებელი რამ საბუთი არ დაუსახელებია. თქვა და მერე მთელი წელიწადი დაუსრულებლად უბურღა ტვინი ევროპასა და ამერიკას, გინდათ თუ არა, დაიჯერეთ, რომ სწორედ ასეა საქმეო.**

მან თავისი მტრული აჟინებებით ისე მოაბეზრა თავი თანამემამულეებს, რომ უკვე ბევრი ლაპარაკობს, ხომ არ დადგა დრო, მეორადი – საქართველოს მოქალაქეობა ჩამოვართვათ და მშობლიურ საფრანგეთში მივაბრძანოთო. თუმცა, მხარდამჭერებიც ჰყავს: მინისტრობისას წვლილი შეიტანა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაში, საპატიო ემიგრანტების ნაგრამია, ნიკო ნიკოლაძის ოჯახის მადლი სცხიაო. ვითომ უშველის ეს ღვთის სამსჯავროზე დადებითებისა და უარყოფითების დაჯამებისას?

**საპატიო ემიგრანტების ჩამომავალი კი არა, სულაც კახეთის მირონცხებული ხელმწიფის ალექსანდრე მეორის ვაჟი იყო სპარსეთში მძევლობისას გათათრებული კონსტანტინე-მირზა, მაგრამ კახელებმა უკეთურობა არ აპატიეს. უფლისწულმა მამა, ღვიძლი ძმა და დამსწრე დიდებულები აჩეხა თავის სპარსელ ამალასთან ერთად და თავი მეფედ გამოაცხადა. მერე იყო და რძალს, ძმის დავით მეფის ქვრივს, შემდგომში წამებულ და წმინდანად შერაცხილ დედოფალ ქეთევანს ცოლობა სთხოვა...ტახტს წაპოტინებული, გადაგვარებული უფლისწული აჯანყებულმა კახელებმა შუბებზე ააგეს...**

**26 ოქტომბერს** „გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების“ წლისთავზე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე კიდევ ერთი „სამასიათასკაციანი“ აქცია გაიმართა. კიდევ ერთი უბადრუკი, არაფრისმთქმელი, არაფრის მაჩვენებელი შეკრება, უღიმღამო და უშინაარსო, „პრეზიდენტ“ სალომე ზურაბიშვილის სავალდებულო გამოსვლით. ეს კი იყო: ამ ვითომ აქციას გიგა ბოკერიასა და მისი მეუღლის თამარ ჩერგოლეიშვილის ყელყელაობა აძლევდა „სიცინცხალეს“... ამისთვის განა ღირდა რამდენიმე ასეული კაცის მოცდენა იქ მისასვლელად? რა მიიღეს და რა წაიღეს მათ იქიდან? ერთადერთი: რომ „ოცნების“ რუსული ხელისუფლება“ მალე სულს გააცხებს... მაგრამ რა ხანია ეს პროგნოზი გვიჭედავს ყურს, „ოცნების“ ხელისუფლებას კი ბეწვიც არ აკლდება, 4 ოქტომბრის შემდეგ სულაც ფიქციად იქცა „რევოლუციის“ გზით მისი დამხობა, განმტკიცდა და გაძლიერდა. ოპოზიცია კი საოცრად უფერული, ანუ ერთფეროვანი გახდა, მთელ იმედს მითიურ-სამასიათასიან აქციებზე ამყარებს. ასეთი რამ კი მხოლოდ ერთხელ ვიხილეთ ქართველებმა – 2024 წლის 17 მაისს, ოჯახის დღესთან დაკავშირებით, რომლის ორგანიზებაშიც ოპოზიციას ერთი ბეწო მონაწილეობა არ მიუღია, მონაწილეობა კი არა, კინაღამ სისხლი ჩაექცათ, ამდენი ხალხი რომ იხილეს ქუჩაში გამოსული „ოცნების“ ხელდასხმით...

4 ოქტომბერსაც ელოდნენ ორას-სამასიათას კაცს და 10-15 ათასი ძლივს შეგროვდა, თუ სულაც 7 ათასი არა... იმ დღემ საბოლოოდ დაასამარა რევოლუციის იდეა, რევოლუციის იმედი. ისე, ამ წამდაუწუმ საპროტესტო დიდი თუ მცირე აქციების შემხედვარე, „ქართულმა ოცნებამ“, ალბათ, ერთხელაც უნდა მოიქაჩლოს თავი და თბილისი შეაზანზაროს თუნდაც 100-ათასიანი დემონსტრაციით, რომელსაც ხალხმრავლობასთან ერთად შესაბამისი შინაარსი, ლარში გამოყვანილი მიზანიც ექნება!.. ეს ყველაფერთან ერთად ჭკუის სასწავლიც იქნება სხვათათვის...

ხსენებულ შეკრებას მოძრაობა „თავისუფლების მოედანის“ ლიდერი ლევან ცუცქირიძე თამადობდა. ეს ცნობა იმიტომ შეგახსენეთ, რომ როგორც ჩანს, ეს კაცი დიდ სიმაღლეებს უმიზნებს. სანამ ჩვენი პოლიტიკის დიდნი გვამნი ციხეში გვერდების ფხანით კლავენ დროს, იგი აქტიურად იკვალავს გზას, „აპრილის თეზისებს“ წერს და უთავოდ შთენილი ოპოზიციის ლიდერობისთვის იკაპიწებს ხელებს... ლენინმა „აპრილის თეზისები“ კარს მომდგარი რევოლუციის სახელმძღვანელოდ დაწერა. ამავე მიზანს ემსახურება ცუცქირიძის „დემოკრატიული წინააღმდეგობის ახალი ეტაპის 10-პუნქტიანი გეგმა“, რომელიც მეორე დღეს თსუ-ს პირველ კორპუსთან ბრიფინგზე წარადგინა. მან მქუხარედ გამოაცხადა, რომ დადგა ავტორიტარულ რეჟიმთან წინააღმეგობის ახალ ეტაპზე გადასვლის დრო საბოლოო წარმატებასთან მისაახლოებლადო.

„10-პუნქტიანი გეგმის“ მიხედვით: შეიქმნება საუბნო და სამოქალაქო საბჭოები; ამა წლის ბოლომდე ჩატარდება სამოქალაქო ყრილობა; უახლოეს 30 დღეში წარმოადგენენ ეროვნული უსაფრთხოების განახლებულ დოქტრინას; ეტაპობრივად წარადგენენ „თავისუფლების მოედნის“ იმ წევრებს, რომლებმაც უნდა ჩაიბარონ ქვეყნის მართვისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და სფეროები; აქტიურად ითანამშრომლებენ საზღვარგარეთის დიასპორებთან, რისთვისაც შეიქმნება დემოკრატიის ეროვნული ფონდი; შეიქმნება, აგრეთვე, საგარეო პოლიტიკური საბჭო; ევროკავშირში დაარსდება(?) მუდმივმოქმედი საერთაშორისო მაღალი დონის კონფერენცია საქართველოში მიმდინარე კრიზისების შესახებ...**ანუ ქმნიან პარალელურ სტრუქტურებს, რომლებსაც ევროკავშირი უხელმძღვანელებს...**

როგორ ჰგავს ეს ზურაბიშვილის „ქარტიას“, რომლის მიზანია გარდამავალი მთავრობის შექმნა; ბურჭულაძის სახალხო კრებას, რომელსაც ხელისუფლება უნდა გადაებარებინა... როგორც ჩანს, საქართველოსთან დაკავშირებით დასავლეთის გეგმა კვლავაც დღის წესრიგშია და ფსონი ამჯერად „თავისუფლების მოედანზე“ იდება, რადგან დარწმუნდნენ, რომ არცერთ არსებულ პოლიტიკურ პარტიას ამის თავი არა აქვს...

**გამოუვათ აქედან რამე?**

**თუ ტრადიციას, წარსულს თვალს გავადევნებთ, დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ! თუმცა კი ბოლო დღეებში სამი ყველაზე შხამიანი პარტიის გაუქმებით დაგვილ-დაწკრიალებული სივრცე ხდებათ.**

**აღდგომა და ხვალეო!**



**ალეკო ასლანიშვილი**



„...უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმან ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა ის ეწამოს ქრისტესათვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიოს ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა...“

**ზვიად გამსახურდია.**

სიტყვა, წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს



**4 ოქტომბერს ჩვენ ვნახეთ კულმინაცია და კვანძის გახსნა საქართველოს ბედისწერის დამდგენი უაღრესად „ცხელი“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესისა, რომელიც საქართველოში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მძაფრად ვითარდებოდა. დუღილის ეს პროცესი საბოლოო ჯამში ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, ვინაიდან აღმოვჩნდით გზაგასაყარზე, საიდანაც მკვეთრად და მკაფიოდ, როგორც არასდროს, გამოჩნდა ამ საბედისწერო პროცესის საზრისი: აბსოლუტური კონტრასტი, იდეაში იგივე ორი გზა, რაც 1990 წლის 26 მაისს თავის სიტყვაში ზვიად გამსახურდიამ განსაკუთრებულად შთამბეჭდავად დაგვანახვა: ერთ მხარეს ქრისტეს გზა, გზა ხსნისა, ცხონებისა, გზა სჯულისა – სიმართლისა, სამართლიანობისა და სამართლისა, სიკეთისა, სიქველისა და ჭეშმარიტების გზა, გზა ქართველი ერის გარდაუვალი გამარჯვებისა მეორე მხარეს საპირისპიროდ ავაზაკობის, სიშლეგისა და სირეგვნის, უსჯულოების – სიცრუის, უსამართლობისა და წაწყმედის, გარდაუვალი ეროვნული მარცხისა და დაღუპვის გზა...**

**...4 ოქტომბერი უდავოდ იყო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მორიგი საბედისწერო გზაგასაყარი, როგორც უწოდებენ – ბიფურკაციის წერტილი. ეს გახლდათ სწორედაც ზღვრული მდგომარეობა, საითკენაც გარდაუვალად მიჰყავდით საშინაო თუ საგარეო გარემოებათა მთლიან ლოგიკას. ამ შაბათს საქართველო ისევ, როგორც 1991-ში, 2003-ში და 2012-ში, კვლავ დადგა „ზღვრულ მდგომარეობაში“, რათა ყოფნა-არყოფნის ტესტი ჩაებარებინა. ე.ი. გამოეხატა ყოფნის, ანდა პირიქით არყოფნის ნება. რასაკვირველია, ეს უდიდესი განსაცდელია, რაც ეროვნული ნების დაძაბვას მოითხოვს, რათა გადაიქცეს ან უკეთესობისკენ აღმასვლის განსაკუთრებულ შესაძლებლობად, ანდა პირიქით გამანადგურებელი დაცემის საფრთხედ.**

# ევროკავშირი სამარცხვინოდ „ჩაიჭრა“!

**ნორმალურ მდგომარეობაში მსგავს საბედისწერო განსაცდელს, ადამიანები, როგორც წესი, ყველანაირად თავს არიდებენ ხოლმე, მაგრამ არის ვითარება, როცა ეს შეუძლებელია: გარემოებათა ლოგიკა იმდენად მძლავრობს, რომ მას ვერ დაჯაბნის ადამიანურ განზრახულობათა ლოგიკა, რაც უნდა კეთილი ნების დაძაბვა და მობილიზება მოხდეს. თავს ზემოთ ძალა არ არის – ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩვენ ამ დიდი განსაცდელისკენ დაუძლეველი ბედისწერით მივდიოდით, მისი თავიდან აცილება შეუძლებელიც იყო და ბოლოს მივედით კიდეც 4 ოქტომბრამდე, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ჩვენი ბედი. ეს უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის: „არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა!“.**

გარემოებათა ის ლოგიკა, ის საბედისწერო განგება, რამაც საერთაშორისოდ მიმდინარე „დიფუზური ომის“ ჟამიანობა წარმოშვა, ასევე განაპირობებდა საქართველოს დასამხობად საერთაშორისო თუ შინაურ ბოროტგანზრახულობასაც: 4 ოქტომბერი საქართველოს გარეშე თუ შინაურ მტერთა მიერ ანტიქართული შეთქმულების, რომლის კონტურები ჯერ კიდევ 2019 წლის ივნისში, ე.წ. გავრილოვის ღამის პროვოცირებისას უკვე გამოიკვეთა, სრულყოფისთვის მოწყობილ დასკვნით აქტად უნდა მივიჩნიოთ.

ამ შეთქმულების თითქოს აბსურდულობა, სინამდვილეში – არნახული მზაკვრობა და ბარაბასეულად ავაზაკური ხასიათი სწორედ „მშვიდობიანი დამხობის“ დემონურ იდეაში მდგომარეობს. „მშვიდობიანი დამხობა“ ე.წ. ფერადი რევოლუციების, რაც წინ უძღოდა გლობალისტური ნეოლიბერალიზმის მიერ, მოდით პირდაპირ ვთქვათ „არმაგედონის მოსამზადებელ სამუშაოებს“, უახლესი, „დიფუზიური ჟამიანობისათვის“ ადაპტირებული ვერსიაა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამჯერად ეს „ფერადი რევოლუციონერები“ „მშვიდობიანად“ ქმნიან უკვე უკიდურეს მასობრივ პოლარიზაციას, შეუქცევად მზარდ ესკალაციას, ხოლო სახელმწიფოს და მის ხელისუფლებას, ზღვრულ ვითარებაში, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, სადაც კარლ შმიტის აზრით – საგანგებო მდგომარეობის საკითხი უნდა გადაჭრას ჭეშმარიტმა სუვერენმა, აგდებენ.

ეს შეიცავს უდიდეს რისკს, რომ ხელისუფლება სამოქალაქო მშვიდობიანობის ზღვარს თავად გადავიდეს და სისხლიც კი დაიღვაროს. ანდა, თუ ხელისუფლებამ წონასწორობა არ დაკარგა, მაშინ კიდევ უარესი მზაკვრობაა ჩაფიქრებული, რათა მასის არჩევანი ბარაბას სასარგებლოდ გაკეთდეს: სისხლიანი ოპერაცია სხვისი დროშით, რაც დეზინფორმაციული მედიაპროპაგანდით აუცილებლად სახელმწიფოს (ხელისუფლებას) უნდა დაბრალდეს! შედეგად გათვლილია თავაწყვეტილი აფექტის, ფაქტობრივად –

**გაშმაგების, სიშლეგის მდგომარეობაში ქვეყნის გადავარდნა, მასობრივი ფსიქოზი, რაც ამ ბედშავ ქვეყანას სუვერენიტეტს წაართმევს, გადააქცევს გარდაუვალი ომის, რომლის თავიდან აცილება გარემოებათა დაუძლეველი ლოგიკის გამო უკვე შეუძლებელია, პოლიგონად.**

ამ თვალსაზრისით – უკრაინა, რასაკვირველია, 2014 წლიდან სუვერენული სახელმწიფოც აღარ არის. იგი ფაქტობრივად უფრო პროქსიომის პოლიგონია, რომლის კლიენტელურ, მთლიანად უცხოელებზე დამოკიდებულ ხელისუფლებას ერთადერთი ფუნქცია აქვს – შეუქცევადი ესკალაცია, ზღვრული მდგომარეობის უწყვეტად კვლავწარმოება, მისი დაუსრულებელ დიფუზურ (არეულობის) ომში, სადაც ზავი პრინციპულად შეუძლებელია, გადაზრდა, რაც რეალურად ქმნის სამომავლო პლაცდარმს საბოლოოდ არმაგედონის ინიციირებისკენაც. ცხადია, ამის დაჯერება ჭირს და რთულიც არის მსგავსი ბოროტგანზრახულობა – არმაგედონის გამოწვევა, ადამიანებს მივაწეროთ. ის მართლაც არაადამიანურია, არაამქვეყნიური დემონური ძალებისგანაა, ამიტომაც ჩვენთვის, მოკვდავთათვის, დაუძლეველ გარემოებათა ლოგიკად, ბრმა განგებადაც კი, უნდა მივიჩნიოთ და არა თუნდაც მხოლოდ გლობალისტური ნეოლიბერალიზმის, რომელიც თავისთავადაც შეპყრობილია ავი სულით, ორდინარულ, მაგალითად – ოდენ გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობით განპირობებულ ბოროტგანზრახულობად. ამ ეჭვის არგუმენტირებისთვის შეიძლება დასავლეთში „გლობალური ომის პარტიის“ ერთ-ერთი მძლავრი იდეოლოგიური დასაყრდენის – ევანგელისტი ქრისტიანების დიდი ნაწილის ლტოლვა არმაგედონის, რაც უფლის მეორედ მოსვლის წინაპირობაა, დასაჩქარებლად მოვიყვანოთ;



**ამით მართლდება თუნდაც ისრაელის უპირობო მხარდაჭერა ნებისმიერ ვითარებაში, რათა მან რაც შეიძლება სწრაფად ააშენოს „მესამე ტაძარი“, გამოიწვიოს არმაგედონი ესეც იმავე შინაარსის საბოლოო არგუმენტია, რაც უკრაინაში ომის არმაგედონად გადაზრდას „ასაბუთებს“: დაე, დროულად მოხდეს, რაც აუცილებლად მოსახდენია და ჩვენც მოვესწროთ, მეტიც – რაც შეიძლება მალე ვიხილოთ ძე ღვთისა, ცოდვილი კაცობრიობის განსაკითხად არნახული ძლევამოსილებით მომავალი. ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის, ჩვენი არეოპაგული ქართუ-**

**ლი ცივილიზაციისთვის – ეს სხვა არაფერია, თუ არა ავი სულით შეპყრობილობა და ჩვენი გაგებით, მას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს!**

**მთავარი აქ ეს გახლავთ: „მშვიდობიანი დამხობა“ – დემონურია, არაადამიანური და თუკი „ზღვრული მდგომარეობის ტესტი“ ვერ ჩააბარე, გარემოებათა დაუძლეველი ლოგიკის მსხვერპლად გაქცევს. ყველაფერი ეს, ჩვენ სრული სახით, როგორც „მშვიდობიანი დამხობის“ უნივერსალურად გამოყენებადი ერთგვარი მოდელი, ვნახეთ უკრაინაში 2014 წლის „მაიდანის“ დროს. აქ ისიც მნიშვნელოვანია, თუ როგორ, იგივე „მშვიდობიანი დამხობის“ ალგორითმით იქნა პროვოცირებული რუსეთი, რათა მას დაძაბულობის ზრდით გამოწვეულ ზღვრულ მდგომარეობაში მშვიდობიანობის ზღვარი დაერღვია და უკრაინაში აგრესიულად შეჭრილიყო. ბუნებრივია, აქაც დემონური მზაკვრობაა და არა მხოლოდ ადამიანური...**

...მადლობა ღმერთს, 4 ოქტომბერს საქართველომ „ზღვრული მდგომარეობის ტესტი“ უაღრესად დიდი წარმატებით და უდიდესი გამარჯვებით დაძლია! კვანძის გახსნის მომენტში „მშვიდობიანი დამხობა“ არაადამიანური მზაკვრობის, რადაც იყო ჩაფიქრებული, ნაცვლად – აბსურდულ გროტესკად, სასეირო ფარსად იქცა და საქართველოს წინააღმდეგ ბოროტმოქმედთა შეთქმულებამ ერთბაშად ყოველგვარი საზრისი დაკარგა! ქართველი ერის უდიდესმა უმრავლესობამ ბარაბას გზა ძირშივე უარყო, ხოლო არჩევნებში მონაწილეთა 80%-მა მშვიდობასა და აღმშენებლობას მისცა ხმა!

**ტესტი დიდი მარაგით დაძლია საქართველოს მოსახლეობამ: ქართველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ „მშვიდობიანი დამხობის“, ე.ი. სიშლეგისაკენ მოწოდება არარად ჩააგდო და მასხრად ასაგდებადაც გიხადა. ხოლო ის უგუნური, დაახლოებით 7 ათასამდე ვაი-მოქალაქე, ვინც 4-ში 4 საათზე საკუთარი სამშობლოს დასამხობად მაინც შეიკრიბა, მორალურად თუ იურიდიულადაც არა, ბოროტმოქმედების თანამზრახველნი შეიქნენ.**

„ზღვრული მდგომარეობის ტესტი“ ასევე დიდი მარაგით დაძლია საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ. კარლ შმიტის განზომილებაში („სუვერენი არის ის, ვინც გადაწყვეტს საგანგებო მდგომარეობის საკითხს“) რომ ვისაუბროთ, ჩვენმა ხელისუფლებამ, თანაც ისე, რომ არც კი დასჭირდა საგანგებო მდგომარეობის საკითხის საერთოდაც დღის წესრიგში შემოტანა, იოლად აღკვეთა სუვერენიტეტისთვის და კონსტიტუციური წესრიგისთვის შექმნილი ყველა საფრთხე. ეს მოხდა რაიმე საგანგებო ზომების, მოქალაქეთა უფლებების რაიმე არსებითი შეზღუდვის გარეშეც, ვინაიდან მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს წინაშე თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულებების ერთგული დარჩა. ხელისუფლებამ მყისიერად სათანადო პასუხი გასცა უგუნურ თავზეხელაღებულთა ძალადობას. ამ მხრივ გამორჩეული იყო ჩვენი სამართალდამცველების მაღალი პასუხისმგებლობა, სათანადო სიმტკიცე და პროფესიონალიზმი, რაც ნამდვილად საამაყოა!

4 ოქტომბრის შედეგები მკაფიოდ და უტყუარად აჩვენებს, რომ საქართველო უდიდესი უმრავლესობით ირჩევს მშვიდობასა და განვითარებას, ხოლო საქართველოს ხელისუფლება მტკიცედ იცავს სახელმწიფოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წესრიგს და არავის მისცემს საშუალებას, ხელყოს ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, საფრთხე შეუქმნას სამოქალაქო მშვიდობას და მოუკლას ჩვენს ხალხს მომავლის პერსპექტივა.

ეს გახლავთ ქართველების კიდევ ერთი დიდი გამარჯვება და როგორც **ბიძინა ივანიშვილმა** ამ არჩევნების შედეგების საზეიმო გამოცხადებისას „ქართული ოცნების“ ოფისში ზუსტად შეაფასა – საქართველო არის მთელ მსოფლიოში ლამის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ჯერ კიდევ 2012 წელს დაამარცხა გლობალისტური ნეოლიბერალიზმი; ხოლო მას შემდგომ მტერმა, მიუხედავად მრავალგზის გააფთრებული მცდელობისა, ვერასგზით შეძლო რევანში. საქართველო მტკიცედ დგას სიმართლის, სამართლიანობის და სამართლის, ანუ სჯულის, სადარაჯოზე და იძლევა სანიმუშო მაგალითს, როგორ შეიძლება უსჯულოების შემოტევას გაუმკლავდე. დროა, დიდმა ქვეყნებმაც კი, რომლებიც, თუკი უკვე არ დაუკარგავთ, აშკარად დგანან სუვერენიტეტის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე – დაინახონ, დააფასონ და გაითვალისწინონ ეს სანიმუშო მაგალითი! ხოლო ჩვენ, ქართველებმა, უნდა ვიამაყოთ საკუთარი სიმტკიცითა და სჯულისადმი ერთგულებით!



აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: რამდენადაც საქართველომ დიდი მარაგით დასძლია „ზღვრული მდგომარეობის ტესტი“, იმდენადვე სამარცხვინოდ „ჩაიჭრა“ ამ ნიუ-დემონიზმით – გლობალისტური ნეოლიბერალიზმით შეპყრობილი კოლექტიური დასავლეთი, უწინარესად ბიუროკრატიული ევროკავშირი, რომელმაც ეს ზღვრული მდგომარეობა, როგორც უდიდესი განსაცდელი, მოგვახვია თავს. უდავოა, რომ ამ ეტაპზე ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოს მიმართ მთლიანად გაკოტრებულია და მან სრული კრახი განიცადა. მიუხედავად ამისა, არ ჩანს ნიშნები, რომ ისინი ხელს აიღებენ საქართველოს „უკრაინიზაციაზე“. უარესიც – არ შეიმჩნევა არანაირი მცდელობა, რომ ევროკავშირმა და ზოგადად, „გლობალური ომის პარტიამ“, შეცვალონ შემდგომი საბედისწერო ესკალაციისკენ, სულაც – „არმაგედონიზაციისკენ“, ბირთვულ აპოკალიფსთან საშიში მიახლოებისკენ მიმართული თავისი ექსტრემისტულად უგუნური საგარეო პოლიტიკა.

ამასთან, ხაზგასასმელია: საქართველოში ახალი შეთქმულების, „მშვიდობიანი დამხობის“ თუ ე.წ. რევოლუციის მოსამზადებლად, მათ რესურსი უკვე აღარ აქვთ; ამ ეტაპზე ევროკავშირის ანტიქართული პარტია წაგებულია – ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, მათ მიიღეს „ქიში და შამათი“ – სწორედ ეს გახლდათ 4 ოქტომბერი. ხოლო ახალი პარტიის წამოსაწყებად, ე.ი. მატჩ-რევანშისთვის, ევროკავშირის განკარგულებაში საქართველოს დაფაზე დასალაგებელი მათი ფიგურები უბრალოდ გამოილია, აღარ არიან. ყველა ოიკოფობი ე.წ. პოლიტიკოსი საქართველოში, ვინც კი შეიძლება ამ მიზნით ყოფილიყო ახალი პარტიის წამოსაწყებად გამოყენებული, უკიდურესად დისკრედიტებულია, ფაქტობრივად – იზოლირებულიც.

**ვნახოთ, ისევ შეეცდებიან თუ არა ახლების გამოძერწვას. თუმცა, ესეც უკვე ამთავითვე ნათელია: თუ იმავეს გააგრძელებენ, საქართველოს მაინც ვერაფერს დააკლებენ, ხოლო ევროკავშირს საბოლოოდ წაიყვანენ კრახისა და დაშლისკენ.**



**დავით ზარდიაშვილი**

# ო, დოროთე, დოროთე!..



# დაიგმოს მღვდლისა და მონაზვნისთვის შეუფერებელი ქმედებანი!!!



**საქართველოს საპატრიარქოს მცხეთა-თბილისის ეპარქიული კომისია არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის საკითხზე დასკვნას აქვეყნებს**

საქართველოს საპატრიარქოს მცხეთა-თბილისის ეპარქიულმა კომისიამ განიხილა ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ დოროთეს (ყურაშვილი) საკითხი.

საქართველოს საპატრიარქოს ცნობით, ეპარქიულმა კომისიამ დასკვნის სახით დაადგინა, რომ არქიმანდრიტ დოროთეს (ყურაშვილი) მხრიდან კვლავ იკვეთება დისციპლინური და ზნეობრივი ხასიათის დარღვევები – ცილისმწამებლური, ასევე მღვდლისა და მონაზვნისათვის შეუფერებელი სხვა ქმედებები.

**„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, არქიმანდრიტი დოროთე (ყურაშვილი) მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს დაბარებული იყო მცხეთა-თბილისის ეპარქიულ კომისიაზე, სადაც მღვდელმთავრებთან შეხვედრისა და გასაუბრების საშუალება მიეცემოდა, მაგრამ იგი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა. აღნიშნულის საფუძველზე, მას გამოეცხადა მკაცრი გაფრთხილება, ხოლო ახსნა-განმარტებისთვის განმეორებით დაბარებულ იქნა კომისიაზე მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს, რაზეც მან თავისი პირობები წამოაყენა, რომ კომისიას მხოლოდ მედიასაშუალებების თანხლებით დაესწრებოდა. ამ მოთხოვნაზე კომისიამ მას უარი განუცხადა და განმარტა, რომ ასეთი ფორმატით კომისიის სხდომის გამართვა არის უპრეცედენტო და მიუღებელი. აღნიშნული პირობის არდაკმაყოფილების საფუძველზე, არქიმანდრიტი დოროთე (ყურაშვილი) კვლავ არ დაესწრო სხდომას, რაც კომისიის წევრებმა არასაპატიო მიზეზად მიიჩნიეს.**

**აღსანიშნავია, რომ არქიმანდრიტი დოროთე (ყურაშვილი), როგორც პირველი, ისე მეორე დაბარების შემდეგ, ეკლესიის იერარქიისა და თავად კომისიის წევრების მისამართით შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ განცხადებებს კვლავ აგრძელებს.**

**თვალსაჩინოებისთვის მისი საუბრებიდან მოგვყავს შესაბამისი ციტატები:**

**„ეკლესიას ძაან უნდა გახარებოდა და ძალიან უნდა მოწონებოდა სახელმწიფოს, რომ მე ხალხი, თუნდაც პოლიციელები და თუნდაც მისი ხალხი რაღაცა მსხვერპლს გადავარჩინე და ძალიან გაბრაზდა ორივე და თურმე რატომ, მსხვერპლი უნდოდათ“.**

**„მე ვწმენდ ეკლესიას სინდისს და ნამუსს, მე ვწმენდ ეკლესიას იმ უნამუსობას, რომელიც ზოგიერთს ჩაუდენია და გაუკეთებია თავისი მდუმარებით თუნდაც“.**

**„როცა მღვდელს სხვა უფროსი ეყოლება, მერე ის აკეთებს იმის დავალებებს, რასაც ის უფროსი დაავალებს და არა ქრისტეს დავალებებს. აი, ამ დღეში ვართ, დღეს ჩვენ ეკლესიას უფროსი გაუჩნდა, მიუხედავად იმისა, არცერთი სახელმწიფოებრივი სტატუსით არაფერი არაა თანამდებობა, მაგრამ სახელმწიფო მთავრობა გაიხადეს უფროსად და აქ უკვე გაქრა ის, რომ ქრისტეა ჩვენი უფროსი“...**

**„მე დღეს მსჯის რუსეთის ეკლესია და ბიძინა ივანიშვილი, ეს არის მათი დავალება“.**

ეპარქიულმა კომისიამ დასკვნის სახით დაადგინა, რომ არქიმანდრიტ დოროთეს (ყურაშვილი) მხრიდან კვლავ იკვეთება დისციპლინური და ზნეობრივი ხასიათის დარღვევები, კერძოდ: ცილისმწამებლური, ასევე მღვდლისა და მონაზვნისათვის შეუფერებელი სხვა ქმედებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ეპარქიულმა კომისიამ შუამდგომლობით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს, რომ არქიმანდრიტი დოროთე (ყურაშვილი) კომისიის უგულებელყოფის, შეურაცხყოფისა და კვლავ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, რაც მოციქულთა 74-ე კანონით, წარმოადგენს მძიმე დისციპლინურ დარღვევას, ამ ეტაპზე სასჯელის სახით გათავისუფლდეს ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრის მოვალეობიდან და გამწესდეს მღვდელმსახურად ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრაში, რომლის საძმოს წევრადაც ირიცხება“,** – ნათქვამია ეპარქიული კომისიის დასკვნაში.

# რეფორმის ორკესტრი შინაარსი



**2025 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პრემიერმა და განათლების მინისტრმა საზოგადოებას წარუდგინეს უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია და შვიდი პრიორიტეტული მიმართულება. ცნობა თეზისურია, მაგრამ „ყველა ამ ძირითად მიმართულებაზე უკვე შემუშავებულია ცხადი ხედვა, რომელიც მომდევნო კვირების განმავლობაში საბოლოო სახეს მიიღებს“ და, ალბათ, საზოგადოებისთვისაც გახდება ცნობილი.**

როგორც ჩანს, რეფორმატორები იმდენად დარწმუნებულნი არიან თავიანთი გეგმის განხორციელებაში, რომ ამ ახალ, ჯერ კიდევ ჩანასახში არსებულ რეფორმას უკვე „ისტორიული“ უწოდეს. დავუშვათ, მივიღეთ ეს ამბიციური განაცხადი, მაგრამ რა ვუყოთ ლოგიკურ შეუსაბამობას: მომავალში მოსახდენი რეფორმა უკვე აღსრულებულ მოვლენად როგორ ვაქციოთ? ამასთან, მისი წარმატებულობა იმთავითვე, აპრიორულად უნდა ვაღიაროთ, ხოლო აწმყო, ასევე აბსტრაქტულად, წარსულში გადავიტანოთ და შემდეგ ისტორიად გარდაქმნილი ისევ აწმყოში დავაბრუნოთ?

**„ისტორიული“ რეფორმის აბსურდული შინაარსი იმიტომ ავხსენი, რომ კიდევ ახალ ხიფათს არ შევემთხვიოთ. ვსარგებლობ რა ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპით – მოიძიე გოროტისაგან და ქმნე კეთილი, რეფორმატორებს შევახსენებ, რომ ნაც-რეჟიმის მიერ 2006 წელს ჩატარებული რეფორმით განადგურებულ განათლების სისტემას, ფაქტობრივად, დღემდე სახე არ შეუცვლია.**

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან 2025-მდე განათლების რვა მინისტრი შეიცვალა, ვერავინ მოიცალა სერიოზული გარდაქმნების დასაწყებად, რასაც პერსპექტივაში განათლების განვითარება უნდა მოჰყოლოდა. ჩვენ, ვაი-რეფორმით ქუჩაში გამოყრილი თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, მთელი ამ 19 წლის განმავლობაში ველოდით სამართლიან მოპყრობას, ან თუნდაც თანაგრძნობას, იმ დამცირებისა და შეურაცხყოფის გამო, რამაც რამდენიმე პედაგოგს გულიც კი გაუხეთქა! ინფარქტი დამართა!

ჩვენ მთავრობისგან, რომელმაც ქართველთმოძულე რეჟიმის ბატონობას ბოლო მოუღო და დღემდე მშვიდობა შეინარჩუნა, უკვე არც არაფერს მოვითხოვთ (ასეთ შემთხვევასაც კი ვერ ვიხსენებ); მაგრამ თუ ქვეყანამ იმდენად განიმტკიცა სუვერენიტეტი, რომ მთავრობამ განათლების რეფორმაზე განაცხადი საზოგადოებას უცერემონიოდ წარუდგინა, მაშინ იგი შენიშვნების მისაღებადაც მზად უნდა იყოს.

ჯერჯერობით, მე მხოლოდ ერთი შეკითხვით შემოვიფარგლები და დაველოდები პასუხს, რომელიც იქცევა ინდიკატორად ახალი რეფორმისადმი ჩემი და ჩემი თანამოაზრეების დამოკიდებულებისა. მართალია, „ცალმხრივი მეგობრობის“ აღსანიშნავად თსუ-ის ეზოში უკრაინის დროშა ფრიალებს და სტუდენტთა სმენის ორგანოების მოსაფრთხილებლად კორპუსებში სალექციო ზარიც აღარ ირეკება, რაც, სავარაუდოდ, ჰუმანურობის ევროპულ სტანდარტზე უნდა მიუთითებდეს, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პედაგოგებისგან, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ყოველსემესტრულად როგორ ითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროში აღებულ ფასიან ცნობას „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“?

ამ სავალდებულო ცნობით დასტურდება, რომ ესა და ეს მოქალაქე აღნიშნული „დანაშაულის ჩადენისთვის არ არის მსჯავრდებული“. ცნობის წარუდგინებლობის შემთხვევაში, ბუნებრივია, ლექტორი ვერც ხელფასს მიიღებს და ვერც ლექციებს წაიკითხავს.

**ასე რომ, სახლის შენება საძირკვლის ჩაყრით იწყება, ხოლო განათლების რეფორმამდე სასწავლო დაწესებულებში ამორალური მოთხოვნები უნდა გაუქმდეს! მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ რეფორმატორებს „ცხადი ხედვა“ ნამდვილად აქვთ შემუშავებული.**



ბერდიაკონი
**გიორგი (რუხაძე),**
ფილოსოფიის დოქტორი.

# დევიდ ო'სალივანი საქართველოს მთავრობას მადლობის წერილს უგზავნის



**მადლობას გიხდით უმაღლეს დონეზე გამოხატული ერთგულებისა და უკვე გადადგმული ნაბიჯებისთვის, რათა არ მოხდეს ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გვერდის ავლა,** – ამის შესახებ აღნიშნულია ოფიციალურ წერილში, რომელიც საქართველოს მთავრობამ სანქციების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის **დევიდ ო'სალივანისგან** მიიღო.

**„მადლობას გიხდით უმაღლეს დონეზე გამოხატული ერთგულებისთვის და უკვე გადადგმული ნაბიჯებისთვის, რათა არ მოხდეს ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გვერდის ავლა. მადლობას გიხდით ასევე თქვენი ხელისუფლების მუდმივი ხელმისაწვდომობისთვის, რათა განხილულ იქნას სანქციების გვერდის ავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. მე ადრეც გაგიზიარეთ მაღალი პრიორიტეტულობის მქონე პუნქტების სია, რომელიც ევროკომისიამ შეადგინა პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად. აღნიშნული ჩამონათვალი მოიცავს ორმაგი დანიშნულების საქონლისა და მოწინავე ტექნოლოგიების სიას ექსპორტის შეზღუდვების რეჟიმში მყოფ ნივთებზე, რომლებიც გამოვლენილია რუსეთის სამხედრო სისტემებში, ნაპოვნია ბრძოლის ველზე უკრაინაში ან კრიტიკული მნიშვნელობისაა რუსული სამხედრო სისტემების განვითარების, წარმოების ან გამოყენებისთვის. მადლობას გიხდით ამ ნივთების რეექსპორტის შეჩერებაზე გაწეული ძალისხმევისთვის.**

**ევროკომისიამ შეადგინა ეკონომიკურ კონტექსტში კრიტიკული მნიშვნელობის მქონე საქონლის სია, რომლის შეძენასაც რუსეთი სასოწარკვეთილად ცდილობს თავისი საომარი მოქმედებების უზრუნველსაყოფად. ეს სანქცირებული ნივთებია, რასაც რუსეთის სამრეწველო ბაზის მხარდაჭერა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქონლის უმეტესობა არ არის ტრადიციული გაგებით ორმაგი დანიშნულების ნივთები, მათი რეექსპორტი აძლიერებს რუსეთის ეკონომიკის ძირითად სექტორებს.**

**მაგალითად, მილსადენებისთვის განკუთვნილი მოწყობილობები ან სპეციალიზებული ფოლადის კონსტრუქციები საჭიროა რუსეთის მინერალური რესურსების ინდუსტრიისთვის. ეს სექტორი რუსეთის ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი დარგის საარსებო წყაროა. ამიტომ, თქვენდამი პატივისცემით, მოგმართავთ თხოვნით, რომ აკრძალოთ ევროკავშირის წარმოშობის ყველა ამ სიაში მითითებული ნივთისა და ამ კოდების მქონე პროდუქციის რეექსპორტი რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ამ საქონლის ძირითადი რეექსპორტიორი, რეგიონის ქვეყნებმა უკვე იპოვეს გზა ამ საკითხის მოსაგვარებლად და არსებობს რისკი, რომ საქართველო ამ ნივთებით ალტერნატიულ უკანონო ვაჭრობის გზად იქცეს. ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია სასარგებლო იქნება თქვენი შესაბამისი ორგანოებისთვის, რათა გაგრძელდეს შესაბამისი ზომების მიღება და სანქცირებული საქონლის რეექსპორტი აღარ მოხდეს რუსეთში, სადაც მისი გადამისამართება ხდება სამხედრო ინდუსტრიის მხარდასაჭერად. გმადლობთ ამ საკითხისადმი თქვენი მყისიერი ყურადღებისთვის“,** – აღნიშნულია **დევიდ ო'სალივანის** წერილში.

ოფიციალური წერილის ადრესატები არიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი** და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **მარიამ ქვრივიშვილი**.

# ევროკავშირი კვლავ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია

**„საქართველო და ევროკავშირი 2014 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შედეგად მიღებული უპირატესობებით სარგებლობენ.**

**ღრმა და ყოვლისმომცველმა თავისუფალმა სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ (DCFTA) საქართველოს კომპანიებს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი გაუხსნა, რომელიც 450 მილიონზე მეტ მომხმარებელს მოიცავს – თითქმის ყველა პროდუქტზე ნულოვანი საბაჟო გადასახადის, სასაზღვრო პროცედურების გამარტივებისა და მარეგულირებელ ნორმებთან გაზრდილი შესაბამისობის საშუალებით. ევროკავშირში ექსპორტის განმახორციელებელი ქართული კომპანიების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა; ვაჭრობა მზარდი ნდობის, შესაძლებლობებისა და საერთო კეთილდღეობის ისტორიად იქცა.**



**ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის საგარეო სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად იზრდებოდა და 2024 წელს 5 მილიარდ ევროს მიაღწია. ევროკავშირი კვლავ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც ვაჭრობის წილი სრული ბრუნვის 22%-ს შეადგენს. ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში ქართული პროდუქციის მოყვანამ ამ პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება განაპირობა და ადგილობრივ კომპანიებს შორის კონკურენტუნარიანობა გააძლიერა.**

**ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მრავალი შესაძლებლობა ჯერ კიდევ სრულად არ არის ათვისებული, ათწლეულის განმავლობაში არსებული ტენდენცია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების მედეგობას და ევროკავშირის ბაზრის მიმართ მზარდ ინტერესს ასახავს“,** – აღნიშნულია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ოცნებას კაცი არ მოუკლავს



## ვისაც რაჭა გიყვართ, გამოგვეხმაურეთ!

**ამ წერილის სათაურად გამოვიტანე ჩვენი სასიქადულო მწერლის ნოდარ დუმბაძის სიტყვები, რომელიც მდინარე ვერეს ხეობაში ბავშვთა ქალაქის „მზიურის“ მშენებლობის იდეას ეხებოდა, რაც სამწუხაროდ, ნაწილობრივ განხორციელდა.**

**ყველას გვახსოვს შარშანდელი უმძიმესი ტრაგედია, რომელიც რაჭის ულამაზეს კურორტ „შოვში“ განვითარდა, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა და „შოვის“, როგორც კურორტის არსებობას წერტილი დაესვა.**

**მართალია, მთავრობისა და საპატრიარქოს წინადადებით ტრაგედიის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკლესიის აშენება გადაწყდა, მაგრამ ეს ეკლესია დაღუპულთა ხსოვნის მემორიალური ძეგლი იქნება და რაჭის საკურორტო პოტენციალს დიდს ვერაფერს შემატებს.**

**მინდა რაჭის (და არა მარტო რაჭის) საზოგადოებას შევთავაზო ჩემი აზრით მეტად საინტერესო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ქვემო რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭრებალოდან დაახლოებით 7 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 700-800 მ-ის სიმაღლეზე, რაჭასა და ლეჩხუმს შორის არსებულ, დაახლოებით 20 ჰექტარ ტერიტორიაზე ახალი საკურორტო ზონის შექმნას. ეს ტერიტორია, რომელიც კოლმეურნეობების არსებობის დროს სახნავ-სათესი და სათიბი ტერიტორიები (სავარგულები) იყო, ამჟამად მიტოვებულია, 30-40 წელია არ მუშავდება, მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფული შემცირებისა და დაბერების გამო აღარც კერძო მეურნეობები არსებობს (გარდა ფუტკრის რამდენიმე ათეული მომთაბარე ოჯახის (სკისა).**

ამ ტერიტორიაზე, რომელიც 1500-2000 მ. სიმაღლის მთებს შორის გაშლილ ვაკეს წარმოადგენს, არსებობს ბუნებრივი ე. წ. „ჩეროს“ ტბა, ჩამოდის ორი მდინარე, ადრე იყო ორი ხელოვნური ტბა (ამჟამად დამშრალია). აქვე მდებარეობს „წმინდა გიორგის“ ეკლესია მიმდებარე ციხით (რომელიც ტყითაა დაფარული) და მის ქვეშ კიდევ ერთი დამშრალი ტბით.

***დაინტერესებულ საზოგადოებას (ან ინვესტორს) ვთავაზობთ ამ ტერიტორიაზე „ყვარლის ტბის“ ან „ლოპოტას“ მსგავსი ტურისტული კომპლექსის მშენებლობას, რაც ნაწილობრივ აანაზღაურებს რაჭის, როგორც საკურორტო ზონის დანაკლისს.***

რაც შეეხება სავარაუდო კომპლექსთან მისასვლელ გზას, როგორც ზევით აღვნიშნე, დაახლოებით 7 კმ სიგრძის იქნება, იგი იწყება ქუთაისი-ალპანა-მამისონის გადასასვლელის საავტომობილო გზის 70-ე კმ-ზე, გაივლის ჭრებალო-ზემო ჟოშხის 3-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც ძირითადად კეთილმოწყობილია (დარჩენილია ორი, 50-75 მ სიგრძის მეწყრული მონაკვეთი). საჭირო 4 კმ-მდე სიგრძის ხრეშოვანი გზის კეთილმოწყობა სოფელ ჟოშხიდან ტურისტული კომპლექსის ტერიტორიამდე, ამავე სიგრძის (4,0 კმ.) ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა (მიყვანა).

პერსპექტივაში ამ ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ჩანჩქერზე შესაძლებელია 1-1,5 მეგავატი სიმძლავრის მქონე ჰესის მშენებლობა, რომელიც მომავალში მთლიანად დააკმაყოფილებს ტურისტული კომპლექსის მომარაგებას იაფი ელექტროენერგიით. ეს ტერიტორია საშუალებას იძლევა, მოეწყოს ბიპლაინი, ე. წ. „ჯვარის“ გორიდან ე. წ. „ჟოშკოს“ მთამდე მდინარე ასკისწყლის ხეობის ულამაზესი პანორამით. ამ ტერიტორიის მიმდებარე ფერდობები წელიწადში 3-4 თვე თოვლითაა დაფარული, რამდენად გამოსადეგი იქნება ზამთრის კურორტისთვის, ეს საკითხი ცალკე შესასწავლია.

პერსპექტივაში შესაძლებელია რაჭისა და ლეჩხუმის რეგიონების სოფელ გენდუშისა და სოფელ ზედა თაბორის შეერთება ახალი საავტომობილო გზით გველისთავის გადასასვლელის გავლით. შარშან ლეჩხუმში დამთავრდა ადგილობრივი მნიშვნელობის ჭილეშილაილაში-თაბორის 6 კმ სიგრძის საავტომობილო გზის მშენებლობა ცემენტბეტონის საფარით. ამავე დროს, რაჭის რეგიონში დამთავრების სტადიაშია ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის ჭრებალო-ზედა ჟოშხა-გენდუშის (სიგრძით 5,5 კმ) საავტომობილო გზის მშენებლობა (დარჩენილია 2 მეწყრული უბანი). ამ ორი გზის შეერთებით მოხდება რაჭისა და ლეჩხუმის რეგიონების დაკავშირება უმოკლესი გზით, რომელიც გარდა ტურისტულისა, ეკონომიკური მიმართულებითაც უმნიშვნელოვანესი იქნება და ორივე რეგიონის მოსახლეობას დიდი ხნის ოცნებას აუხდენს. რაჭის მხარეს ამ გზის მიმდებარედაა სოფელ ჭრებალოს „წმინდა ნიკოლოზის“ ეკლესია, რომელიც აშენდა აწ განსვენებული **ნიკო ლეკიშვილის** თაოსნობით; ქვედა ჟოშხის XIII საუკუნის „ჯვარცმის“ ეკლესია, სოფელ ზედა ჟოშხასა და გენდუშში მე-18 საუკუნის ე. წ. „მალვისა“ და „გივის“ ციხეები, სოფლის გადაღმა ნედუმში XVI საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ნაშთები, **სადაც აღმოჩენილია VIII საუკუნის ქვის ქანდაკება, რომელზეც წმინდა გიორგი შუბით კლავს არა გველეშაპს, არამედ რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს. ასეთი ქანდაკება იშვიათია, თუ არ ვცდები, სულ ორი ცალია ნაპოვნი (დღეს ეს ქანდაკება ინახება სოფელ გენდუშში ერთ-ერთ მოსახლესთან).**

ლეჩხუმის მხარეს ამ გზის მიმდებარედაა სოფელ ზედა თაბორის XV საუკუნის „დედა ღვთისას“ ეკლესია. სოფელ ლაილაშის უძველესი ებრაული სინაგოგა და სომხური ეკლესია, ებრაული და სომხური სასაფლაოები, ქვედა ლაილაშის ქართული ეკლესია და „ოქრონიშის“ წყაროს ღირსშესანიშნავი ნაგებობა, საიდანაც ჩანს ლაჯანურის წყალსაცავისა და გარშემო სოფლების ზღაპრული სანახები.

რაჭისა და ლეჩხუმის დამაკავშირებელი გზის აშენებით რაჭა-ლეჩხუმის ულამაზესი ბუნება და ისტორიული ძეგლების მონახულებას მრავალი ასეული ტურისტი და ვიზიტიორი შეძლებს, რაც თავისთავად ორივე რეგიონს დამატებით ეკონომიკურ შემოსავალს მოუტანს. ამ გზის აშენებით ლეჩხუმის რეგიონიც უმოკლესი გზით დაუკავშირდება ჩემ მიერ ზემოთ შემოთავაზებულ ტურისტულ კომპლექსს.

სრულიად რაჭის რეგიონის განვითარების ფონდს ამ კომპლექსისა და შესაბამისად რაჭა-ლეჩხუმის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის სახსრები არ გააჩნია. კარგი იქნება, თუ ამ მშენებლობით **„ქართუ“ ფონდი** დაინტერესდება და თავის თავზე აიღებს ამ ტურისტული კომპლექსის დაპროექტება-მშენებლობის საქმეს. ჩვენი სურვილია, თუ ამ კომპლექსის მთავარი არქიტექტორი ბატონი **ტარიელ კიპაროიძე** გახდება, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი კურორტ აბასთუმნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ამოცანებს.

**თუ ქვეყანა დაწყნარდა და ამ თავაზვებულ ოპოზიციას სათანადო ლაგამი ამოედო, მაშინ სავსებით შესაძლებელია ამ იდეის განხორციელება, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში, ქუთაისიდან 70 კმ-ის დაშორებით, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში აშენდება ტურისტული კომპლექსი, სიმბოლური ისტორიული სახელით „თაკვერის“ ტურისტული კომპლექსი, რომელიც ნაწილობრივ მაინც აღადგენს იმ ტურისტულ პოტენციალს, რომელსაც „შოვის“ უმძიმესი ტრაგედიით აუნაზღაურებელი ზარალი მიადგა.**

**ოთარ კერვალიშვილი,**



სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდის თავმჯდომარე,
საქ. საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
დამოუკიდებელი სამგზაო ექსპერტი.
ტელ.: 599 53 19 19

**P.S.** **იმედია, ამ წერილს „ზემოდან“ ვინმე გამოეხმაურება და იგი არ გაიზიარებს იმ წერილის ბედს, რომელიც შეეხებოდა საჩხერე-მოხვა-ამბროლაურის საავტომობილო გზის მშენებლობის საკითხს, რომელიც ამ გაზეთში დაიბეჭდა 2023 წლის ივლისის თვეში. სიმართლით და გულისტკივილით სავსე წერილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი როინ მეტრეველის გარდა, არავინ გამოხმაურებია, რომელსაც კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას.**

24.10.2025 წ. ქ. თბილისი.



# ქართული ღვინო ნიუ-იორკში

**ქართული ღვინის აშშ-ის ბაზარზე ექსპორტის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის, Colangelo & Partners-ის ორგანიზებით, ქალაქ ნიუ იორკში გამართულ ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე ქართული ღვინის რვა მარანი იყო წარდგენილი.**

მიმდინარე წელს ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი ღვინის ეროვნული სააგენტო გახლდათ.

ფესტივალი Karakterre-ი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ღვინის ფესტივალია, რომელიც ორგანული, ბიოდინამიკური და ბუნებრივი ღვინის მწარმოებლებს აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ის ყოველწლიურად იმართება ავსტრიის ისტორიულ ადგილებსა და ნიუ-იორკში.

წელს ფესტივალში 200-მდე ღვინის მწარმოებელი მსოფლიოს 30-მდე ქვეყნიდან მონაწილეობდა.

ფესტივალის ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, სხვადასხვა სტილის 15-მდე ქართული ღვინო დაეგემოვნებინა, რაც უმნიშვნელოვანესია ქართული ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის ზრდისთვის. ფესტივალის ფარგლებში საფერავის მასტერკლასიც გაიმართა.

**„უკრაინის ქალაქ პოკროვსკის (კრასნოარმეისკის) ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. ქალაქი გამაგრებულია, მაგრამ უკრაინელ სამხედროებს ცოცხალი ძალა არ ჰყოფნით: რუსები მათ მნიშვნელოვნად ჭარბობენ“,** – ნათქვამია აშშ-ის გაზეთ **„ნიუ-იორკ თაიმსში“ (The New York Times)** გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„გააფთრებული ბრძოლები პოკროვსკის ქუჩებში: ალყაშია თუ არა უკრაინის არმიის ციტადელი?“** (ავტორი– **კონსტან მეიო**).

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The New York Times

***Street Battles Rage in Ukrainian City After Russian Troops Enter Stronghold***

Moscow's forces infiltrated Pokrovsk after months of attacks on the city, a strategic part of Ukraine's eastern defenses.



# პოკროვსკის ტრაგედია

**მრავალთვიანი საომარი მოქმედებების შემდეგ რუსეთის ჯარები პოკროვსკში შეიჭრნენ, უკრაინის ჯარების სტრატეგიულ დასაყრდენში, სადაც ამჟამად ქუჩის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. თუ კრემლის არმია პოკროვსკს ხელში ჩაიგდებს და გააკონტროლებს, მოსკოვი უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მნიშვნელოვან პლაცდარმს მიიღებს.**

პრეზიდენტმა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** ოთხშაბათს ჟურნალისტებს აცნობა, რომ პოკროვსკში მხოლოდ 200-მა რუსმა ჯარისკაცმა შეაღწია, თუმცა როგორც ქალაქში მებრძოლი უკრაინელი მეომრები ამბობენ, რუსები ბევრად მეტნი არიან. დამოუკიდებელ ანალიტიკოსთა თქმით, რუსული ქვედანაყოფები თითქმის უკვე ქალაქის ცენტრში იმყოფებიან.

**„სიტუაცია ძალიან რთულია, რუსების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება... მოწინააღმდეგეს უკვე ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი აქვს დაკავებული“,** – ამბობს დრონების ოპერატორი **დენისი,** რომელიც უპილოტო საფრენი აპარატის მეშვეობით ქალაქში მიმდინარე ბრძოლებს თვალს ადევნებს.

კრასნოარმეისკში (პოკროვსკში), რომელშიც ომის დაწყებამდე თითქმის 60 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, უკრაინის რამდენიმე ქალაქის ერთმანეთთან დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს ავტომაგისტრალზე მდებარეობს, რომელიც თავდაცვით გამაგრებულ რკალს ქმნის და კიევის მიერ კონტროლირებულ დონბასის ნაწილს იცავს. თუ პოკროვსკი დაეცემა, ამით რუსეთი თავის დიდიხნის მიზანს შეისრულებს – მთელ რეგიონს დაიპყრობს.

პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთი საომარ მოქმედებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტს, თუ კიევი დონბასის იმ ნაწილსაც დათმობს, რომელიც რუსეთის არმიას ჯერ კიდევ არ აქვს დაკავებული. პოკროვსკის აღებით კრემლი, ალბათ, ისარგებლებს, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას დაუმტკიცოს: რუსული ჯარების წინსვლას ვერავინ შეაჩერებს და რომ უკრაინა საბოლოოდ მაინც იძულებული გახდება, სამშვიდობო შეთანხმებას ხელი მოაწეროს – ტერიტორიული დათმობების გათვალისწინებით.

**„ჩვენ გვესმის, რომ რუსებს პოკროვსკის აღება სურთ“,** – განაცხადა პრეზიდენტმა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** ჟურნალისტების წინაშე ოთხშაბათს, – **„ვიცით, რომ ტერიტორიული დათმობები კრემლის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს... მაგრამ ჩვენ ქალაქი იმიტომ უნდა შევინარჩუნოთ, რომ რუსეთის გეგმები ჩავშალოთ“.**

**უკრაინის პრეზიდენტის პოზიცია გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რამდენ ხანს შეუძლიათ უკრაინელებს ქალაქის დაცვა – თვითონ ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ რუსების რაოდენობა უკრაინელ დამცველთა რაოდენობას 8-ჯერ (რვაჯერ!) აჭარბებსო.**

პოკროვსკის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ რუსები შეტევებს ერთდროულად ფრონტის სხვა უბნებზეც ახორციელებენ. კრემლის არმიის ნაწილები ასევე შეიჭრნენ ხარკოვის ოლქის ქალაქ კუპიანსკში, რომელიც 2022 წელს ჯერ რუსებმა დაიკავეს, შემდეგ უკრაინელებმა დაიბრუნეს, ახლა კი ისევ რუსები ცდილობენ მის სრულ გაკონტროლებას. რუსებმა ნაწილობრივ უკვე ალყაში მოაქციეს ქალაქი კონსტანტინოვკა-დონბასის ჩრდილოეთი ჭიშკარი.

პოკროვსკი დიდი ხნის განმავლობაში იყო უკრაინის არმიის საყრდენი რუსებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მოსკოვის ჯარებმა ქალაქს პირველად 2024 წელს შეუტიეს, მაგრამ რადგანაც რუსები კარგად მომზადებულ და გამაგრებულ თავდაცვის ზღუდეებს წააწყდნენ, კრემლის პირდაპირი შეტევა ჩაიშალა, თუმცა მოსკოვი ქალაქის აღების მცდელობებს მაინც აგრძელებდა.

**„რუსების მცირე ჯგუფები ძალიან სპეციფიკურად მოქმედებენ: მათი „ნახტომები“ ნემსის ჩხვლეტას ჰგავს, რომელიც თავდაპირველად ნაკლებ მტკივნეულია, მაგრამ როცა ხშირდება, ცუდ შედეგებს იწვევს“,** – ამბობს **ბოგდან იანუში,** უკრაინის არმიის 79-ე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის ოფიცერი, – **ისინი არღვევენ ზურგის უზრუნველყოფას, კომუნიკაციებს, ინიშნავენ ჩვენს პოზიციებს და შემდეგ გვბომბავენ“.**

დრონების ოპერატორი დენისის თქმით, რუსეთის არმია იმითიც სარგებლობს, რომ პოკროვსკში მშვიდობიანი მოსახლეობაც არის დარჩენილი (დაახლოებით ათასი მცხოვრები). რუსები სამოქალაქო ტანსაცმელს იცვამენ და ცდილობენ, ადგილობრივ მოსახლეობას შეერიონ. **„ასეთ სიტუაციაში გაუგებარი ხდება ვინ ვინ არის... ისინი ყველა სამოქალაქო ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი და თავს ისე წარმოაჩენენ, თითქოს წყლის ან სურსათის მოსაპოვებლად დადიან“,** – ამბობს **დენისი.**

უკრაინელი სამხედროები შეშფოთებულები არიან იმით, რომ რუსეთის არმია მართლაც წარმატებულად მოქმედებს და ქალაქის ცენტრს თითქმის მიაღწია. უკრაინის არმია, რომელსაც რეზერვები მწირი აქვს, იძულებულია დამატებითი ძალების მობილიზება განახორციელოს და ისინი ქალაქში გაგზავნოს იმ დერეფნით, რომელიც მუდმივად იბომბება მტრის არტილერიით.



მოამზადა

**სიმონ კილაძემ**

# სენსაციური არჩევნები ჩრდილოეთ კვიპროსში

**ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომლის შედეგებმა, კვიპროსთან ერთად, მთელი მსოფლიო გააკვირვა. ოპოზიციური რესპუბლიკური თურქული პარტიის ლიდერმა ტუფან ერჰურ მანმა არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა. მან ორჯერ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ახლანდელმა პრეზიდენტმა ერსინ თათარმა.**



თავად გამარჯვებული ერჰურ მანიც ვერ მალავდა გაკვირვებასა და სიხარულს. საქმე იმაშია, რომ, რამდენიმე თვის წინ, ექსპერტები მოქმედი პრეზიდენტის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ, რომელსაც თურქეთის მთელი მთავრობა უჭერდა მხარს. მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ კვიპროსი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დიდადაა დამოკიდებული თურქეთზე. ისტორიულად, ასე იყო ყოველთვის.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, თურქეთმა, კვიპროსელი მუსლიმების დასაცავად, კუნძულის ამ ნაწილის ოკუპაცია მოახდინა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა შექმნა, რომელსაც, დღემდე, თურქეთის გარდა, არავინ არ აღიარებს. შედეგად, კვიპროსის ეს ნაწილი თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ არის მოქცეული. ფაქტობრივად, ის თურქეთის პროტექტორატია, მაგრამ, როგორც ჩანს, პრეზიდენტ თათარს თურქეთის მთავრობამ დათვური სამსახური გაუწია. უკვე, რამდენიმე წელია, თურქი კვიპროსელები უკმაყოფილონი არიან ერდოღანის პოლიტიკით, რომლის მთავრობა ხშირად ერევა ჩრდილოეთ კვიპროსის პოლიტიკაში. ერდოღანი კვიპროსელებს პირდაპირ ახვევს თავს საკუთარ შეხედულებებს, რაც, ჩრდილოეთ კვიპროსში, მოსახლეობის დიდ გაღიზიანებას იწვევს. მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილში, ჩრდილოეთ კვიპროსში, საპროტესტო ტალღა აგორდა, რომლის მიზეზი რელიგიური კანონების გამკაცრების მცდელობა იყო. თურქეთის მთავრობის ზეწოლით, ჩრდილოეთ კვიპროსის მთავრობამ ისეთი კანონის გატანა მოინდომა, რომელიც სკოლის მოსწავლე გოგონებს თავსაბურავის ტარებას აიძულებდა. მოსახლეობა, ამის გამო, იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ თვითონ პრეზიდენტ თათარს მოუწია კანონის გაკრიტიკება და მის მიღებაზე უარის თქმა. ერთი სიტყვით, ანკარის ასეთი ჩარევები და პრეზიდენტის საქციელი სასტიკად აღიზიანებდა ჩრდილოეთ კვიპროსის მოსახლეობის ნაწილს. ოპოზიციის ლიდერი და მისი პარტია მწვავედ აკრიტიკებდა ჩრდილოეთ კვიპროსის მთავრობასაც და ერდოღანსაც. მან თავის კამპანიის მთავარ თემად ჩრდილოეთ კვიპროსის მომავალი სტატუსი აქცია, მოუწოდა რა მოსახლეობას, ხმა მისთვის კი არა, ჩრდილოეთ კვიპროსის მომავლისთვის მიეცა. ფაქტობრივად, არჩევნები რეფერენდუმად იქცა. მოსახლეობას ქვეყნის მომავლის ორი გზიდან ერთი უნდა აერჩია. ამჟამინდელი პრეზიდენტი და მისი პარტია პოლიტიკურ სტატუს-კვოს უჭერდა მხარს, ანუ ჩრდილოეთ კვიპროსის არ აღიარებულ ქვეყნად დარჩენას და მასზე მხოლოდ თურქეთის გავლენის შენარჩუნებას. ოპოზიციის ლიდერს კი, ბერძენ კვიპროსელებთან მოლაპარაკების დაწყება და კვიპროსის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა სურდა. **არჩევნების შედეგების მიხედვით, თურქი კვიპროსელების უმრავლესობას ბერძენ კვიპროსელებთან ფედერაციაში ცხოვრება სურთ. ასეთი განწყობა სენსაციის ტოლფასია და ერდოღანისთვის სილის გაწნას ნიშნავს.** მომხდარზე, თურქ პოლიტიკოსთა უმრავლესობის უარყოფითი რეაქცია, სწორედ, ამის დასტურია. ყველაზე აგრესიული ტონით ულტრა-მემარჯვენეთა ლიდერი და ერდოღანის კოალიციაში შემავალი პოლიტიკოსი დევლეთ ბახჩელი გამოირჩეოდა. მისი თქმით, ჩრდილოეთ კვიპროსმა არ უნდა აღიაროს ტუფან ერჰურ მანის გამარჯვება. უფრო მეტიც, მან ერდოღანს ჩრდილოეთ კვიპროსის მთლიანი ოკუპაციისკენ მოუწოდა. თავად ერდოღანმა ახალ არჩეული პრეზიდენტის მიმართ შემრიგებლური ტონი არჩია. პირადად მიულოცა მას გამარჯვება და დასძინა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის მომავალი თურქეთთან უნდა იყოს დაკავშირებული.

**ევროპაში კი, კერძოდ, საბერძნეთში, ბრიუსელსა და ნიქოზიაში ერთობ პოზიტიურად შეხვდნენ არჩევნების შედეგებს. ისინი იმედოვნებენ, რომ წარსულში ჩიხში შეყვანილი მოლაპარაკებები კვიპროსის მომავალზე განახლდება. ექსპერტების აზრით, თუ საბერძნეთსა და ბერძენ კვიპროსელებს მოლაპარაკების წარმატება სურთ, ისინი, ზოგიერთ საკითხში, კომპრომისზე უნდა წავიდნენ. ახლა, ასეთი კითხვა ისმის: შეძლებს ჩრდილოეთ კვიპროსის ახალი პრეზიდენტი თავისი გეგმის განხორციელებას, თუ თურქეთი შეუშლის ხელს. ძნელი სათქმელია, რა მოხდება!..**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

**ბერიამ მაშინვე კონტროლზე აიყვანა სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, მალენკოვი, როგორც მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი, ფორმალურად ჩაუდგა სათავეში ხელისუფლებას; ხრუშჩოვი, რომელიც ცკ-ის პირველი მდივნის პოსტს იკავებდა, პარტიულ აპარატზე კონცენტრირდა.**

იწყებოდა საბჭოთა კავშირის დიდი კარის თამაშები.

დღემდე არავინ იცის, ჰქონდა თუ არა სტალინს პოლიტბიუროს ახალი შემადგენლობის სია, ან თუ არსებობდა, შესაძლოა, გაანადგურეს, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი იყო ბიზანტიური ინტრიგების ბრწყინვალე ოსტატი და ეს უკანასკნელი ინტრიგა – ახალი თაობის შემოყვანა ხელისუფლების შიდა წრეებში – სტალინის კიდევ ერთი გამოცანა გახდა.

ბელადმა დატოვა დიდი ვაკუუმი ხელისუფლებაში მისი გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ერთმანეთის სისხლით ამოავსეს მისმავე თანამებრძოლებმა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ბერიას ჯერი დადგა.

**რამდენიმე თვეში, 1953 წლის ზაფხულში, მალენკოვი, ხრუშჩოვი და პრეზიდიუმის სხვა წევრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ბერიასგან დიდი საშიშროება მოდიოდა, გაერთიანდნენ და მარშალი ჟუკოვის ხელმძღვანელობით დააპატიმრეს საბჭოთა კავშირის უდიდესი ძალაუფლების მქონე სახალხო კომისარი. ეს იყო თამამი და სარისკო ნაბიჯი, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა მომავალი მოვლენების ბედი.**

ბერიას დაპატიმრების შემდეგ ხრუშჩოვისთვის ხელისუფლების სათავეებისკენ გზა საგრძნობლად დამოკლდა. მალენკოვს ისედაც არ ჰქონდა მხარდაჭერა პარტიული აპარატისგან და ვერ გაუწია კონკურენცია ენერგიულ და ამბიციურ პირველ მდივანს და სწორედ ეს „простакМикита“ (უინტერესო, მოსულელო მიკიტა) გამოვიდა გამარჯვებული ამ ბრძოლაში.

* * *

**სტალინის გარდაცვალება შოკისმომგვრელი აღმოჩნდა არა მხოლოდ კომპარტიის უმაღლესი პირებისთვის, არამედ მთელი საბჭოთა მოქალაქეებისთვის.**

განსაკუთრებით განიცდიდნენ ბელადის სიკვდილს მის ახლოს მყოფი დამხმარე, მოსამსახურე და ადმინისტრაციის შუა და ქვედა რგოლის უბრალო თანამშრომლები. მათთვის სტალინი იყო ბელადი, მამა, ქვეყნის მეთაური და იმედი, ყველა საბჭოთა მოქალაქისთვის, კაცი, რომელმაც დაამარცხა დიდი ფაშისტური გაერთიანება.

1991 წლის აგვისტოში, როცა მოსკოვის ქუჩებში უდიდესი საბჭოთა ქვეყნის ბედი წყდებოდა, ლუბიანკის სარდაფებიდან სინათლეზე გამოჰქონდათ საიდუმლო საარქივო მასალები.

ახალგაზრდა კაპიტანი **ანდრეი ვორონოვი**, რომელიც ხელმძღვანელობდა განსაკუთრებული საქმეების დოკუმენტების სისტემატიზაციას, დაინტერესდა ერთი საქაღალდით, რომელსაც განსაკუთრებული აღნიშვნა ჰქონდა, წარწერით: სამუდამოდ შესანახად. არ გაანადგუროთ. კერძო არქივი. ლპბ; რაც ლავრენტი პავლეს ძე ბერიას ინიციალები იყო.

კაპიტანი ყურადღებით გაეცნო დოკუმენტს, რომლის შიგნით დროისგან გაყვითლებული უბრალო სასკოლო უჯრებიანი რვეული იდო, გარედან კი მელნით ეწერა ვ.მ.-ს დღიური – 1946-1953 წლები.

პირველი ჩანაწერი 1946 წლის 12 თებერვლით თარიღდებოდა.

**„დღეს ჩემი კრემლში მუშაობის პირველი დღეა, ხელები ისე მიკანკალებს, ბუმბული რომ დავიჭირო, იმასაც ვერ შევძლებ. სახელმწიფო უშიშროების მაიორმა, ქალბატონმა კრილოვამ გამაფრთხილა: ყოველი ზედმეტი სიტყვა, ნათქვამი ან დაწერილი იმაზე, რასაც დაინახავ ან გაიგონებ, ისჯება დახვრეტით! თუმცა თვითონვე დამრთო ნება, შემექმნა ეს დღიური ანგარიშგებისთვის. მე არ ვიცი, რატომ, მაგრამ აქ ბრძანებებს არ განიხილავენ, მათ ასრულებენ“.**

რვეულში რამდენიმე აბზაცი გადახაზული იყო, სხვები გახაზული წითელი ფანქრით, მინდვრებზე იყო შენიშვნები, მიწერილი სხვა ხელით – **შემოწმებულია! დამტკიცებულია! შესამოწმებელია!**

ბოლო შენიშვნა გაკეთებული იყო 1953 წლის 3 მარტს – **ყველაფერი დამთავრდა, ბელადი მკვდარია!**

**„ბერიამ თქვა, რომ ჩემი დღიური უკვე აღარაა საჭირო, მაგრამ მე უნდა დავწერო ის, რაც ვნახე იმ ღამეს. უნდა აღვწერო ყველა დეტალი, რადგან სიმართლე ვიცით მხოლოდ ჩვენ, ვინც ვიყავით ბელადის გვერდით“.**

**ვალენტინა მიხაილოვნა სერგეევა** დაიბადა 1920 წლის 5 დეკემბერს, რიაზანში, რკინიგზის მშენებელი ინჟინრის ოჯახში. მისი ბავშვობა დასრულდა 1937 წლის აგვისტოს ღამეს, როცა მათი სახლის კარებზე ტყავისქურთუკიანმა კაცებმა დააკაკუნეს. მამა წაიყვანეს ისე, რომ დამშვიდობებაც ვერ მოახერხა. დედა ამ ამბიდან სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა, გულმა ვეღარ გაუძლო.

17 წლის ვალენტინა ობლად დარჩა და გადასახლდა ნომერ მეთოთხმეტე საბავშვო სახლში, მოსკოვთან ახლოს, პოდოლსკში, მკაცრი წესრიგით და ზედამხედველობით გამორჩეულ დაწესებულებაში. დირექტორი, ყოფილი ჩეკისტი პავლე

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №139, 144, 146



ლავრენტი ბერია, იოსებ სტალინი და ვალენტინა სერგეევა

# სტალინი – გენიალური „დიქტატორი“

## ისტორია, რომელიც არ მთავრდება

სოკოლოვი, სამოქალაქო ომის ინვალიდი, რკინის ხელით მართავდა საბავშვო სახლს. სწორედ მან აღმოაჩინა წყნარ რიაზანელ გოგონაში განსაკუთრებული ნიჭი, ფენომენალური მეხსიერება და უნარი იმისა, დარჩენილიყო შეუმჩნეველი.

– სერგეევა, – უთხრა მან ერთხელ გოგონას თავის კაბინეტში, – არსებობს პროფესია, რომელიც სწორედ გამოსადეგია შენი შეუმჩნეველი ხასიათისთვის, გაგგზავნი მოსკოვში, სპეციალურ სკოლაში.

სპეციალური სკოლა აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასწავლო დაწესებულება (**Народный комиссариат внутренних дел – НКВД – ავტ.**), რომელიც ამზადებდა მოსამსახურე პერსონალს სახელმწიფო დაწესებულებებისთვის.

სწავლა ადვილი იყო. ვალენტინამ შეისწავლა სუფრის გაწყობა საიმპერატორო სასახლის სტანდარტების მიხედვით, რომელსაც რევოლუციის ქარიშხალს სასწაულებრივად გადარჩენილი ზამთრის სასახლის ყოფილი მოსამსახურე ასწავლიდა. შეისწავლა ეტიკეტი, რამდენიმე უცხო ენა, მაგრამ მთავარი წინ იყო. ეს იყო კურსები, განსაკუთრებული და საიდუმლო მომსახურებისთვის. კურსს ატარებდა სახელმწიფო უშიშროების სპეციალური წარმომადგენელი ელიზავეტა კრილოვა – 40 წლის ქალბატონი, უემოციო სახით და შემაშფოთებელი მზერით. მან პირველ გაკვეთილზევე განუცხადა ახალგაზრდებს:

**– დაივიწყეთ წარსული, დღეიდან თქვენ არ გყავთ ნათესავები, მეგობრები, არ გაქვთ პირადი ცხოვრება, თქვენი დავალებაა, იყოთ იდეალური, მოწესრიგებული და შეუმჩნეველი.**

1946 წლის იანვარში, ღამით, ვალენტინა თავის 4 მეგობართან ერთად ლუბიანკაზე გამოიძახეს. გამოძახების მიზეზი იყო მხოლოდ ერთი რამ – უკანასკნელი შემოწმება განაწილების წინ.

მესამე სართულზე, კაბინეტში, მათ ელოდათ სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი, რომლის სახელი მათთვის არ გაუმხელიათ.

– ამხანაგო სერგეევა, – მიმართა უშიშროების პოლკოვნიკმა ვალენტინას, – იცით, რატომ მოგიწვიეთ კრემლში სამუშაოდ სწორედ თქვენ?

ვალენტინას ხმა არ ამოუღია.

– იმიტომ რომ, თქვენ არაფერი გაქვთ დასაკარგი, თქვენ ვერავის ვერ გასცემთ, რადგან არავინ არ ხართ და ესაა თქვენი მთავარი ღირსება. – დასძინა მან.

სამი დღის შემდეგ ვალენტინამ პირველად შეაბიჯა კრემლის ჭიშკარში.

ეკონომიკურ საქმეთა მთავარმა ხელმძღვანელმა, გენერალ-მაიორმა ვლასოვმა პირადად მიიყვანა ის სამუშაო ადგილამდე, განსაკუთრებულ სასადილო დარბაზში, სადაც პოლიტბიუროს წევრები სადილობდნენ.

– დაიმახსოვრე, სერგეევა, – უთხრა მან გოგონას, სანამ გრძელ დერეფანში მიდიოდნენ, – თქვენ აქ დაინახავთ და გაიგონებთ ბევრ რამეს, მაგრამ უნდა იყოთ ყრუ, ბრმა და მუნჯი. ერთი უბრალო სიტყვა, ერთი არასწორი გამოხედვა და თქვენ გაქრებით ისე, თითქოს არასდროს არსებულიყავით.

დერეფნის ბოლოში გენერალი მუხის მასიურ კართან შეჩერდა.

– ამ კარის იქით, – თქვა მან დაბალი ხმით, – არის სასაუზმე, დღეს საღამოთი შედგება ბანკეტი, პარტიის არჩევნების სანიმუშოდ ჩატარების აღსანიშნავად, ის აქ იქნება.

ვალენტინა მაშინვე მიხვდა, ვისზეც იყო საუბარი.

გულმა ისე დაუწყო ფეთქვა, რომ ხმა, ალბათ, მთელ დერეფანში ისმოდა.

ნამდვილი შემოწმება კი ახალგაზრდა გოგონას ელოდა იმავე დღეს, თავად იოსებ ბესარიონოვიჩ სტალინისგან.

მანამდე კი, სანამ კრემლის ბანკეტზე მოსამსახურედ დაამტკიცებდნენ, სწავლის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ, ვალენტინა სამი თვით მოსკოვთან ახლოს, ჩაკეტილ სასწავლო ცენტრში გადაიყვანეს, ეს იყო ყოფილი მემამულის სახლ-კარი, რომელიც შემოღობილი იყო მაღალი ღობეებით. ღობეებს ზემოთ მაღალი მავთულხლართები ჰქონდა შემოვლებული, დაცვა უზრუნველყოფდა, რომ იქ მყოფებს გარე სამყაროსთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონოდათ. აქ ამზადებდნენ განსაკუთრებულ პერსონალს, არა უბრალოდ მოსამსახურეებს, არამედ უჩინარ ადამიანებს, რომლებიც მზად იყვნენ, საათობით მდგარიყვნენ მდუმარედ და შეუმჩნევლად, რომლებიც იმახსოვრებდნენ ყოველ სიტყვას, ყოველ ჟესტს.

სწავლა იწყებოდა დილის 5 საათზე.

მოწაფე სწავლობდა, როგორ ეტარებინა დიდი სინი, რომელზეც ათეულობით სავსე კათხა, „ბოკალი“ ეწყო ისე, რომ კათხებიდან არ გადმოღვრილიყო არც ერთი წვეთი, მაშინაც კი თუ კიბეებზე ადიოდნენ, ანდა შემთხვევით ვინმე მხარს თუ გაჰკრავდათ.

ვალენტინა საათობით ამუშავებდა მოძრაობებს, სანამ ისინი ავტომატური არ გახდა.

უფროსმა მასწავლებელმა, რუსეთის მეფის ვაჟის მიხაილ ალექსანდროვიჩის უფროსმა კამერდინერმა ნიკოლაი ალექსანდროვიჩ ვორონცოვმა, ვალენტინას შეასწავლა, როგორ უნდა ევლო სასახლეში ისე, რომ არავის გაეგონა მისგან ოდნავი გაფაჩუნებაც კი.

– საიმპერატორო სასახლეში მოსამსახურეს ისე უნდა ესუნთქა ჰაერი, თითქოს, არც სუნთქავდა, თქვენც ასე უნდა იყოთ, – ამბობდა ნიკოლაი ვორონცოვი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ფსიქოლოგიურ მომზადებას.

მაიორი, ქალბატონი კრილოვა, გაკვეთილებს აქ ატარებდა ემოციურ ნეიტრალიზაციაზე.

– თქვენ შეიძლება გაიგონოთ შეთქმულების შესახებ იმ ადამიანზე, რომელსაც ახლახან ესაუბრებოდით, შეიძლება გახდეთ მარშლის, ანდა მინისტრის დამცირების უნებლიე მოწმე, მაგრამ თქვენმა სახემ უბრალო ემოციაც არ უნდა გამოხატოს, თქვენ ხართ ქანდაკება, თქვენ ხართ ავეჯის დეტალი, – ამბობდა ის.

ვალენტინა სწავლობდა სუნთქვის კონტროლირებას, გულისფეთქვის შეჩერებას, მიმიკების შეზღუდვას, ასწავლიდნენ, მდგარიყო გაუნძრევლად საათების განმავლობაში, როცა სხვა მოსწავლეები მას ამცირებდნენ, უყვებოდნენ საშიშ და სასაცილო ისტორიებს, აყენებდნენ ძლიერ ფიზიკურ ტკივილებს, ამ დროს ვალენტინა საერთოდ არ უნდა განძრეულიყო, არავითარი რეაქცია არ უნდა ჰქონოდა, თუმცა ყველაზე რთული მაინც სელექციური სიყრუის კურსის გავლა აღმოჩნდა – უნდა მოგესმინა ყველაფერი, დაგემახსოვრებინა საუბრები სიტყვასიტყვით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, არასდროს არ უნდა გეჩვენებინა, რომ რაღაც იცი.

1946 წლის თებერვალში გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა.

გამართეს ინსცენირებული ბანკეტი, სადაც პოლიტბიუროს წევრების როლებს ნკვდ-ს თანამშრომლები თამშობდნენ. ისინი სპეციალურად აწყობდნენ პროვოკაციებს, განიხილავდნენ საიდუმლო თემებს, დგამდნენ სკანდალებს.

12 მოსწავლიდან მხოლოდ 5-მა შეძლო გამოცდის ჩაბარება.

პირველი ნამდვილი ბანკეტის წინადღით ვალენტინა მაიორმა კრილოვამ გამოიძახა:

– სერგეევა, – თქვა მან, – ხვალ თქვენ ნახავთ ამხანაგ სტალინს. დაიმახსოვრე – ის ამჩნევს ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს, უბრალო შეცდომა და თქვენ დაიღუპებით. თუმცა გაგიმხელ ერთ საიდუმლოს: ის პატივს სცემს პატიოსნებას, ერთგულებას, თავდადებას. თუ რაიმეს გკითხავთ, უპასუხეთ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, როგორიც არ უნდა იყოს ის.

– მაგრამ თუ ეს სიმართლე საფრთხილოა? – იკითხა ვალენტინამ.

– ტყუილი საშიშია, ის გრძნობს ტყუილს ერთი ვერსის სიშორიდანაც კი. – უპასუხა მაიორმა კრილოვამ.

პირველი ბანკეტის წინაღამეს ვალენტინამ უცნაური სიზმარი იხილა:

ის იყო დიდ, ცარიელ დარბაზში, მის პირდაპირ კი იდგა თვით ხალხის მამა.

ბელადმა ცოტა ხანს უმზირა ვალენტინას პირდაპირ თვალებში და მერე წყნარად თქვა: მე ვიცი, ვინ იყო შენი მამა, ვიცი, რატომაც დახვრიტეეს, ისიც ვიცი, რას ფიქრობ შენ ამაზე.

ვალენტინამ ცივ ოფლში გამოიღვიძა. ფანჯარაში ჩანდა, რომ ალიონი ახლა იწყებოდა, მაგრამ დაძინება ვეღარ შეძლო.

არასასიამოვნო წინათგრძნობამ მთელი დღე არ მისცა მოსვენება.

გოგონა საშინლად ღელავდა.

ეს იყო პირველი სამუშაო დღე.

კრემლის საბანკეტო სასახლე ბრწყინავდა.

იდგა 1946 წლის 12 თებერვალი.

მოამზადა
**ირანდა კალანდაძემ**

(გაგრძელება იქნება)






# თქვენ რომ გეკადრებათ, ბატონო კოტე!..

## გასულ უქმეებზე, ბათუმის სპორტის სასახლემ მინი-ფეხბურთში საინტერესო და წარმომადგენლობით საერთაშორისო მედიატურნირს უმასპინძლა...

**ლეგენდარული ქართველი კომენტატორის, კოტე მახარაძის სახელობის უკვე ტრადიციადქცეულ ტურნირზე წლეულს, 8 ქვეყნის ჟურნალისტები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს კვლავ ესტუმრა უკრაინელ სპორტულ ჟურნალისტთა გუნდი...**

ტურნირის ჩატარების იდეა, ცნობილ ქართველ სპორტულ ჟურნალისტებს, **მიხეილ აბაიშვილსა** და **მამუკა კვარაცხელიას** ეკუთვნით. სწორედ მათი ინიციატივით გაიმართა 2019 წელს პირველი ტურნირი და მას შემდეგ, წლიდან-წლამდე, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ორგანიზებით, უფრო და უფრო იხვეწება და ბევრად წარმომადგენლობითიც ხდება.

უცვლელი რჩება უმთავრესი მხარდამჭერიც: წლევანდელი ტურნირიც ხომ საქართველოს სპორტის სამინისტროს დიდი დახმარებით ჩატარდა. სხვათა შორის, სპორტის მინისტრის მოადგილე **ირაკლი დოლაბერიძე** წლევანდელი ტურნირის სამივე გადამწყვეტ მატჩს (ორივე ნახევარფინალი, ფინალი) დაესწრო და სწორედ მან გადასცა გამარჯვებულ გუნდს კოტე მახარაძის სახელობის თასი!

აქვე, მასპინძლებიც უნდა ვახსენოთ: ზედიზედ მეორე წელიწადია, ტურნირის ორგანიზატორებს გვერდში უდგანან აჭარის სპორტის დეპარტამენტი და აჭარის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, ისევე, როგორც ზედიზედ მეორედ, ტურნირში მონაწილე რვავე ქვეყნის დელეგაცია კომფორტულად გრძნობდა თავს სასტუმრო Best Western Premier-ში. სადაც, სხვათა შორის, ღონისძიების ფარგლებში, მეტად საინტერესო საერთაშორისო კონფერენციაც გაიმართა თემაზე: „თანამედროვე სპორტული ჟურნალისტიკა – გამოწვევები და შესაძლებლობები“.

...ახლა კი, უშუალოდ ტურნირის მსვლელობაზეც. გავუსწრებთ მოვლენებს და წინდაწინ ვიტყვით, რომ მთელი ტურნირი კვალიფიციურად იმსაჯეს როგორც გამოცდილმა არბიტრმა **კახა ვასაძემ,** ასევე მისმა ახალგაზრდა კოლეგამ **იგორ ომელინსკიმ.**

...ისევე როგორც ბოლო წლებში, უმთავრეს ფავორიტებად, წლეულსაც საქართველოსა და მოლდოვის ნაკრებები მიიჩნეოდნენ; თუმცა, დაიწყო ტურნირი და ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებს ვერც ერთი გუნდი ვერ შეაჩერებდა! თავად განსაჯეთ: ყველა გადამწყვეტი დაპირისპირება ჩვენმა გუნდმა დიდი ანგარიშით მოიგო!

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში მოლდოვასთან 5:1 გამარჯვება, რასაც მოჰყვა ასევე ძლიერ აზერბაიჯანთან კვლავაც დამაჯერებელი მოგება (5:2) და „ტრადიცია“ არც ფინალში (უკრაინასთან) დაირღვა. არადა, მატჩის დასაწყისშივე, სერიოზული დაზიანება მიიღო ჩვენმა მეკარემ **გეგი კიკაბიძემ,** თუმცა, ტრავმის მიუხედავად, კარის მშრალად შენახვა შეძლო.

ამ საქმეში კი, რაღა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩვენი გუნდის ყველაზე გამოცდილმა წევრებმა: **ნიკა კბილაძემ** და **გიორგი თოთლაძემ,** რომლებმაც სრულად გაანეიტრალეს უკრაინელთა (და, საერთოდ, ტურნირის) საუკეთესო ბომბარდირი **არტიომ სერგიენკო.**

აი, უკრაინელთა დაცვა კი, ვერაფრით უმკლავდებოდა ჩვენი გუნდის გააზრებულ კომბინაციებსა თუ ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალურ გაბრწყინებებს და საერთოდაც, ჩვენებმა ფინალი... 7 ან 8-ბურთიანი სხვაობით რომ ვერ მოიგეს, მხოლოდ და მხოლოდ, უკრაინელთა მართლაც ძალიან მაგარი მეკარის **ევგენი ზინჩენკოს** სასწაული თამაშის გამო მოხდა.

თუმცა, ვერც ზინჩენკომ უშველა თავისიანებს, როცა ჯერ ახალგაზრდა **ცოტნე ქინქლაძემ,** შემდეგ კი გამოცდილმა **რეზო დევდარიანმა** ერთმანეთზე ეფექტური „წყვილი დუბლი“ შეასრულეს. ზემოთ ნახსენები ფეხბურთელების გარდა, ჩვენი ნაკრების საბოლოო წარმატებაში ჯგუფურ ეტაპზე გატანილი გოლებით საკუთარი წვლილი შეიტანეს **ირაკლი სიხარულიძემ** და **გიორგი გურაბანიძემ,** რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენი გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **ზურაბ მაკარაძეზე,** რომელმაც ნახევარფინალში ჰეთ-თრიკი შეასრულა.

ასევე უნდა ვახსენოთ ჩვენი გუნდის ყველაზე სტაჟიანი წევრები: **მიხეილ აბაიშვილი** და **კოტე მიგინეიშვილი;** კინაღამ დაგვავიწყდა: საქართველოს ნაკრების კაპიტანი **მამუკა კვარაცხელია** გახლდათ!

ნამეტნავად სასიამოვნო სურპრიზი გახლდათ აგრეთვე ჩვენი გუნდის დებიუტანტისა და ამავდროულად ყველაზე ახალგაზრდა წევრის, **ცოტნე ქინქლაძის** შთამბეჭდავი თამაში! ისე, ქინქლაძე რომ ხარ გვარად და თანაც, 10-ნომრიანი მაისურით ასპარეზობ, მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოობაზე უნდა გქონდეს პრეტენზია და ასეც მოხდა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული კომენტატორი ცოტნე ქინქლაძე სრულიად დამსახურებულად გახდა წლევანდელი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი! თანაც, იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ჟიურის წევრები ვინ იქნებიან: ქართული სპორტული მედიის ორი მართლაც გამორჩეული და ზეპოპულარული კომენტატორის, **ბიძინა ბარათაშვილისა** და **გიგა გვენცაძის** საფეხბურთო გემოვნებას რომ დააკმაყოფილებ, ესე იგი, იმსახურებ აღიარებას!

### ყველა ლაურეატი

I ადგილი – **საქართველო**
II ადგილი – **უკრაინა**
III ადგილი – **აზერბაიჯანი, მოლდოვა**

საუკეთესო მეკარე – **ევგენი ზინჩენკო (უკრაინა);**
ყველაზე თავდადებული მოთამაშე – **გეგი კიკაბიძე (საქართველო);**
საუკეთესო მცველი – **კაროლ ტრეტიაკი (ლიეტუვა);**
საუკეთესო ნახევარმცველი – **ზურაბ მაკარაძე (საქართველო);**
საუკეთესო თავდამსხმელი – **ხანოგლან იმანოვი (აზერბაიჯანი);**
საუკეთესო გოლი – **ბალაშ ბობორი (უნგრეთი);**
ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი – **სერგეი ურსული (მოლდოვა);**
ტურნირის „ფეარ პლეი“ – **სომხეთის ნაკრები;**
საუკეთესო გულშემატკივარი – **ირეანა ვლადუტი (რუმინეთი);**
საუკეთესო ბომბარდირი – **არტიომ სერგიენკო (უკრაინა, 7 გოლი);**
ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი – **ცოტნე ქინქლაძე (საქართველო).**

# შუა კვირაში

**სანაკრებო პაუზამდე ევროპულ საკლუბო ფეხბურთში დასასვენებლად არავის სცალია, შუა კვირაში განვითარებული მოვლენები კი მეტ-ნაკლებად ქართველ ლეგიონერებსაც უკავშირდება.**

**ესპანეთი.** სამეფო თასი. სიუდადი-ვილიარეალი 0:6. **გიორგი მიქაუტაძე** თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო და მე-5 გოლი გაიტანა.

**ავსტრია**. თასის მერვედფინალი. ადმირა-შტურმი 1:1(პენალტებით 9:10). ერთ-ერთი პენალტი **ოთარ კიტეიშვილმა** გაიტანა.

**საფრანგეთი**. ლიგა 1. ლორიენი-პარი სენ-ჟერმენი 1:1. **ხვიჩა კვარაცხელიამ** მე-60 წუთზე **უსმან დემბელე** შეცვალა, თუმცა მონაგარს ვერაფერი შემატა, მაგრამ პსჟ მაინც ლიდერად რჩება.




**მეცი-ლანსი** 2:0. ეს მასპინძელთა პირველი გამარჯვებაა და მათ რიგებში **გიორგი წიტაიშვილი** მე-80 წუთზე **გიორგი აბუაშვილმა** შეცვალა.

**იტალია.** სერია „ა“. იუვენტუსი-უდინეზე 3:1. სტუმართა მცველმა **საბა გოგლიჩიძემ** ერთბაშად 2(!) პენალტი „აიკიდა“.

ბოლოს სამეზობლოსაც გადავწვდეთ, კერძოდ-**თურქეთს,** სადაც გრანდიოზული სამსაჯო სკანდალი აგორდა ტოტალიზატორებში დადებული ფსონების თემაზე. მართალია, კონკრეტული გვარები გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ჯერ არ ხმაურდება, მაგრამ უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ სავარაუდოდ დამნაშავეთა შორის ადგილობრივი სუპერლიგის მომსახურე არბიტრებიც არიან. მოკლედ, იქ ცხელი შემოდგომაა!..



# მედალიც, რეკორდიც

**ალბანეთის ქალაქ დურესში გრძელდება 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც საქართველოს 18-წევრიანმა დელეგაციამ უმცროსთა შორის მოპოვებული ვერცხლის მედლითა და კონტინენტური ფორუმების რეკორდით გახსნა.**

აღნიშნულ წარმატებათა ავტორია 60 კილოში მოასპარეზე **გიგა ოდიკაძე** ორჭიდში დაგროვილი 266 კილოგრამით, ეს კი მხოლოდ 1 კილოგრამით ნაკლებია მისი თურქი თანატოლის **ბურაქ აიქინის** სატიტულო შედეგზე.

დავძენთ, რომ უმსუბუქესმა ჯვაროსანმა შტანგისტმა ატაცში მცირე ოქრო (121კგ), ხოლო აკვრაში მცირე ბრინჯაო (145კგ) მოიხვეჭა.

ჩვენი ნაკრების სრული შემადგენლობა: შამილიშვილი, ყიფშიძე, ჩუტკერაშვილი, ოჩიგავა, ჯაჯვანი, თაბაგარი, ხორავა, მურღვლიანი, ადამია, ირაკლი ვეკუა, დარსაველიძე (20-წლამდელები), მსხალაძე, გოგოხია, ასანიძე, ლომთაძე, გადელია, ქაშიბაძე, გურამ ვეკუა (23-წლამდელები).

# მოჭარბებული მოტივაციით

**14-16 ნოემბერს ხორვატეთის დედაქალაქი ზაგრები ძიუდოისტთა გრან-პრის უმასპინძლებს, სადაც საქართველოს 9-წევრიანი ნაკრები შემდეგი ექსპერიმენტული შემადგენლობით იჭიდავებს:**

**66კგ**.-თორნიკე მაზიაშვილი, **73კგ**.-გიორგი იანტბელიძე, თორნიკე მოსიაშვილი, **81კგ**.-დავით გოდერძიშვილი, ირაკლი ბეროშვილი, **90კგ**.-ლუკა მაისურაძე, მიხეილ კუპრაშვილი, **+100კგ..**-გელა ზაალიშვილი, საბა ინანეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ 2-წლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ საერთაშორისო სარბიელს უბრუნდება მძიმეწონოსანი **გელა ზაალიშვილი,** ხოლო ეროვნული გუნდის კიმონოს კარიერაში პირველად მოირგებენ **გიორგი იანტბელიძე, თორნიკე მოსიაშვილი** და **დავით გოდერძიშვილი.**



შეგახსენებთ, რომ შარშან მსგავსი ტურნირიდან სამშობლოში ბრინჯაოთი დაბრუნდნენ **თენგო ზირაქაშვილი** (66კგ) და **აკაკი ჯაფარიძე**(90კგ).

# საქართველოს აეროპორტებში რეკორდული რაოდენობის ფრენები შესრულდა

**მათივე ცნობით, იანვარ-სექტემბრის განმავლობაში განხორციელებული რეგულარული რეისების რაოდენობამ 22 125 ავიარეისი შეადგინა, ხოლო ჩარტერული ფრენების რაოდენობამ – 6 556. ჯამურად, საწყის ცხრა თვეში შესრულებული ავიარეისების რაოდენობა (28 681) 18%-ით აღემატება 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული ფრენების (24 348) რაოდენობას.**

**„იანვარ-სექტემბერში საქართველოს აეროპორტებმა 6 489 755 მგზავრს მოემსახურნენ, რაც 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში არსებული მგზავრთნაკადის (5 682 304) რაოდენობას 14%-ით აღემატება. ცალკეულად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მოემსახურა 4 067 202 მგზავრს, რითიც ზრდამ 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში 12% შეადგინა. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტმა მიიღო 1 407 814 მგზავრი, რაც 10%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას. ყველაზე მაღალი ზრდა კი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში დადასტურდა. კერძოდ, ცხრა თვეში აეროპორტი მოემსახურა 995 099 მგზავრს, რაც 32%-ით მეტია შარშან გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე. სატვირთო გადაზიდვების ზრდის მაღალი მაჩვენებლები შენარჩუნდა მესამე კვარტალშიც. ჯამურად, განვლილ ცხრა თვეში საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 25 905.200 ტონა შეადგინა. შესაბამისად, 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ტვირთბრუნვა 50%-ით გაიზარდა. გაზრდილია საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების საერთო მაჩვენებლებიც.**

**კერძოდ, 2024 წლის პირველ ცხრა თვესთან შედარებით საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენება (აფრენა, დაფრენა, გადაფრენა) გაიზარდა 5%-ით. სულ იანვარ-სექტემბერში 229 972 ერთეული ფრენა დაფიქსირდა. 2025 წლის იანვარ-სექტემბერში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მიხედვით საქართველოს საავიაციო ბაზარზე კვლავ Wizz Air-ი ლიდერობს. ავიაკომპანია ბაზრის 17%-იან წილს ფლობს და 1 065 618 მგზავრი ჰყავს გადაყვანილი“,** – ნათქვამია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციაში.




# მატარებლის დამატებითი რეისი რაგბიზე დასასწრებლად

**მგზავრების თხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს რკინიგზა რაგბის თამაშზე დასწრების მსურველთათვის 15 ნოემბერს თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით შტადლერის ტიპის მატარებლის რეისს ამატებს,** – ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს რკინიგზა ავრცელებს.

**„ბილეთების შეძენა შესაძლებელია: gr.com.ge-ზე; საქართველოს რკინიგზის სალაროებში; საქართველოს რკინიგზის პარტნიორი კომპანიების მეშვეობით“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# დიმიტრის შაბათი



**1 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სარწმუნოთა და სასოებით მიცვალებულთა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ასევე პანდემიით და ყველა მართლმადიდებელ დაღუპულ ქრისტიანთ.**

...დიმიტრის შაბათი დიმიტრი დონელის (1389 წ) დროიდან იღებს სათავეს. 1380 წელს ღირსმა სერგი რადონეჟელმა წმინდა მთავრის თანდასწრებით აღასრულა პანაშვიდი კულიკოვოს ბრძოლაში დაღუპული მეომრების სულის საოხად.

ამგვარი პანაშვიდი შემდგომში ტრადიცია გახდა – თანდათან წინაპართა მოსახსენიებელ დღედ იქცა...

**გიული ლიპარტია**

# დააკავეს კაცი, რომელიც 16 წლის გოგოს სალონში სექსმუშაკად ამუშავებდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დააკავეს კაცი, რომელიც არასრულწლოვანს, 16 წლის გოგოს, სექსმუშაკად ამუშავებდა საკუთარ მასაჟის სალონში.**

**„ბრალდებულის მითითებით, მასაჟის სალონში, დაზარალებული სექსუალურ მომსახურებას უწევდა მსურველებს, ხოლო არასრულწლოვანის სექსუალური ექსპლუატაციით გამომუშავებულ თანხას ბრალდებული ისაკუთრებდა და საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავდა“,** – წერია პროკურატურის პრესსამსახურის გავრცელებულ ცნობაში.



დაკავებულს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით: 143-ე სეკუნდა მუხლის პირველი ნაწილით – არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილია ტრეფიკინგი; 254-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით – პროსტიტუციის ხელშეწყობა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა.

# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 23 აგვისტოს N1-1/378 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომში: „სსე“) მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე, ქვესადგურების გაფართოებას. „წყალტუბო-ახალციხის“ პროექტი ითვალისწინებს 97 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მოწყობას არსებული წყალტუბოს ქვესადგურიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში არსებულ ქვესადგურამდე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი პროექტის მიზანია საქართველოში ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერება, ელექტროენერგიის გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ენერგომომარაგების სტაბილურობა. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ენერგომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს სსე-ს დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

500 კვ.ეგხ „წყალტუბო-ახალციხის“ ელექტროგადამცემი ხაზის ზემოქმედების არეალში მოექცა ალექსი ცუცქირიძის (პნ 47001034421), ზესიკო ცუცქირიძის (პნ47001034379), გურამი ცუცქირიძის (პნ 47001000910), ნანული ზაზაძის (პნ 47001036379); ნინო ცუცქირიძის (პნ 47001039236) თანასაკუთრებაში არსებული 5 520 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ, 321 კვ.მ (ს/კ: 62.03.51.453), რომელიც მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფერსაში. ხსენებული პროექტის განხორციელებისათვის, ეგხ ანძის განთავსებისათვის აუცილებელია ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე – 321 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ: 62.03.51.453) სსე-ს საკუთრების უფლების მოპოვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სსე-მ მოქალაქეებს – ალექსი ცუცქირიძეს, ზესიკო ცუცქირიძეს, გურამი ცუცქირიძეს, ნანული ზაზაძეს; ნინო ცუცქირიძეს N4794/07 წერილით, შესთავაზა პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ანძის განთავსებისთვის შესასყიდი 321 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ – 5 106.00 ლარი.

მესაკუთრეებს ასევე ეცნობათ, რომ შეთავაზებაზე უარის ან პასუხის არგაცემის შემთხვევაში, სსე იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და პროექტის განხორციელების არეალში მოქცეულ, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კომპეტენტურ ორგანოს. ზემოხსენებულ შეთავაზებაზე სსე-ს მიერ დადგენილ ვადაში მესაკუთრეებს წერილობითი პასუხი არ გაუციათ.

იქიდან გამომდინარე, რომ მესაკუთრეებთან შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 23 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/378 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“ და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფერსაში ალექსი ცუცქირიძის (პნ 47001034421), ზესიკო ცუცქირიძის (პნ 47001034379), გურამი ცუცქირიძის (პნ 47001000910), ნანული ზაზაძის (პნ 47001036379) და ნინო ცუცქირიძის (პნ 47001039236) თანასაკუთრებაში არსებულ 5520 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N 62.03.51.453) ნაწილზე, კერძოდ, 321 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

# საქართველო იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, უზბეკეთში, ქალაქ სამარყანდში ეროვნულ პავილიონში წარმოდგენილი იქნება: ტრადიციული სამოსი, ისტორიული სამკაული, ქვევრის ღვინის დამზადების ტრადიცია, კულტურული პროგრამა კი დაეთმობა ანსამბლ „ბასიანის“ ფოლკლორული მუსიკის კონცერტს.**

საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის წარდგენა მიზნად ისახავს ქვეყნის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. იუნესკოს გენერალური კონფერენციის 43-ე სესია 30 ოქტომბერს დაიწყო და 13 ნოემბერს დასრულდება.








# ქართველმა მხატვრებმა თავიანთი ნამუშევრები ფლორენციის ბიენალეზე წარადგინეს!

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართველმა მხატვრებმა – ალექსანდრე ვაშაყმაძემ და თამარ ჩხიკვაძემ თავიანთი ნამუშევრები ფლორენციის XV ბიენალეზე წარადგინეს.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, წელს ბიენალეს ძირითადი თემა იყო **„შუქისა და სიბნელის ამაღლებული არსი: დუალიზმისა და ერთიანობის ცნებები თანამედროვე ხელოვნებასა და დიზაინში“.**

ფლორენციის XV ბიენალე ისტორიულ ციხესიმაგრეში, ქალაქის კულტურულ ცენტრში – Fortezza da Basso-ში გაიმართა.

**ბიენალე ფლორენციაში 1997 წლიდან ტარდება. წელს ღონისძიებაში 84 ქვეყნიდან 500-ზე მეტი მხატვარი და დიზაინერი მონაწილეობდა. ბიენალეში ქართველი არტისტების მონაწილეობა თანამედროვე კულტურულ პროცესებში მათ აქტიურ ჩართულობასა და საერთაშორისო არენაზე გასვლასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს.**

# „გილგამეშის ეპოსის (ტრანსლიტერაცია)“

## აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის უცნობი ნაშრომის წარდგენა გაიმართა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის აქამდე უცნობი ნაშრომის „გილგამეშის ეპოსის (ტრანსლიტერაცია)“ პრეზენტაცია.**

2023 წელს, თსუ მუზეუმში ასირიოლოგიის კათედრის საიუბილეო გამოფენაზე პირველად გამოჩნდა გამყრელიძის პირად არქივში დაცული ხელნაწერები – „გილგამეშის ეპოსის“ სრული ტრანსლიტერაცია (I–XI დაფა), რომელიც ავტორმა პეტერბურგში, იგორ დიაკონოვთან ასპირანტურის პერიოდში შეასრულა, თუმცა აქამდე არ გამოქვეყნებულა.

**ნაშრომით დაინტერესდნენ ქართველი ასირიოლოგები ნინო სამსონია და ზურაბ ბარათაშვილი, რომლებმაც პროფესორ უორთინგტონს სთხოვეს შეფასება. მისი აზრით, ეს იშვიათი ტრანსლიტერაცია ქრონოლოგიურად თავსდება კემპბელ ტომპსონის (1926) დაენდრიუ ჯორჯის (2003) ნაშრომებს შორის და წარმოადგენს ღირებულ წვლილს როგორც ასირიოლოგიისთვის, ასევე ქართული და მსოფლიო მეცნიერებისთვის.**



# პიტერ ვან ლარის „მოგზაურები“ მოგზაურობიდან დაგვიბრუნდა

„ხელოვნების სასახლის და ზოგადად ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, ვფიქრობ, ძალიან ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა!

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით სამშობლოში დაბრუნდა უნიკალური ფერწერული ტილო, რომელიც 1921 წლის ოკუპაციის დროს საქართველოდან გაიტანეს და უცხოეთში გაყიდეს ეს არის XVII საუკუნის ნიდერლანდელი დიდოსტატის, პიტერ ვან ლარის (1599-1642) ტილო : – „მოგზაურები“. ნამდვილი სიცოცხლე დუღს ამ სამასწლოვან ნამუშევარში წარმოუდგენელი პლასტიკა, ფერთა გამა ნახატში თბილი სხივები ანათებს მოგზაურებსა და მათ ცხენებს, ხოლო ფონზე გადაშლილი პეიზაჟი, ცის სიმშვიდითა და არქიტექტურის მკაცრი ხაზებით, სურათს სიმყუდროვესა და დიდებულებას ანიჭებს.**

**ვან ლარის ნამუშევრები ინახება მსოფლიოს უდიდეს და უცნობილეს მუზეუმებში, მათ შორის: ამსტერდამის რეიქსმუზეუმში, ფრანკფურტის Stadel-ში, ნიუ-იორკის ლეიდენის კოლექციაში, ოქსფორდის უნივერსიტეტში ვულოცავ საქართველოს ამ შედევრის სამშობლოში დაბრუნებას.. ეს ერთი და სხვა მრავალი“,** – წერს **გიორგი პალანდია.**



# ფესტივალი „საჩუქარი“ საქართველოსა და იტალიას შორის კულტურული ურთიერთობების გასაღრმავებლად

**კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა იტალიის ემილია-რომანიის რეგიონის კულტურის სახელმწიფო ფონდისა და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის – „საჩუქრის“ წარმომადგენლებს შეხვდა.**

კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს **ემილია-რომანიის** კულტურის სახელმწიფო ფონდსა (ATER Fondazione) და თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრს შორის გაფორმებული მემორანდუმი; ასევე, ისაუბრეს სამომავლო გეგმების შესახებ.

მემორანდუმის მიზანია მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში კულტურული, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და გაცვლითი პროექტების განსახორციელებლად, რაც საქართველოსა და იტალიას შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

ფესტივალ „საჩუქრის“ 28-ე სეზონის ფარგლებში უკვე გაიმართა თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრისა და ემილია-რომანიის ეროვნული თეატრის ერთობლივი ნამუშევრის თეატრალიზებული პრეზენტაცია. 2026 წელს ისინი ერთობლივი ნამუშევრით წარდგებიან ემილია-რომანიის ეროვნულ თეატრშიც.

კულტურის მინისტრის მოადგილე **გიორგი მირცხულავამ,** კულტურის სამინისტროს სახელით, სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ქართველი და იტალიელი ხელოვანების თანამშრომლობას და გამოთქვა რწმენა, რომ საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქრის“ 28-ე სეზონი წარმატებული იქნება.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგდებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 3 ნოემბერს**